ეროვნ. ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 218 (19659) ◆ კვირა, 21 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჩაი-86:

ვინ მოიპოვებს „კომუნისტისა“ და საქსახაგრომრეწვის გარდამავალ დროშას

სიტყვას საქმე მოკრეფილი

ყველანი — ჩაის პლანტაციებზე! — ასეთია ხელვაჩაურის რაიონის იმ თადარიგიანი მეურნეობების შრომის დევიზი, რომლებიც სეზონის დამდეგიდან არ ეპუებიან ამინდის ჭირვეულობას და ყველა ღონეს ხმარობენ გეგმების შესასრულებლად. აქაურ ათობით ბრიგადას უკვე გადაჭარბებით აქვს რეალიზებული გეგმა. ამ დღეებში კი აჭარისწყლის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ისახელეს თავი. თუმცა დავალება უკვე შესრულებული აქვთ, პლანტაციებში თითქმის მთელი სოფელია გამოსული. ახლა ისინი სხვა მეურნეობების, მთელი რაიონის გეგმების შესრულებისათვის იღვწიან.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. თავდგირიძე № 1 ბრიგადაში ვნახეთ, სეზონის წარმატებით დამთავრება მივულოცეთ, ეკონომიკურ მაჩვენებლებს გავეცანით. აქ 85 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაცია აქვთ. იმ დღისათვის საგეგმო 812 ტონის ნაცვლად მოკრეფილი ჰქონდათ 820 ტონა. საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 9,7 ტონას მიაღწია. მთის სოფლებისათვის ეს რეკორდული მაჩვენებელია.

კოლმეურნეობაში 7 საწარმოო ბრიგადაა, აქედან ხუთმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა. № 1 ბრიგადის მეჩაიეებმა დაგეგმილი 160 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 170 ტონა. წარჩინებული მეჩაიეების მხარდამხარ თავდადებით იშრომეს ახალგაზრდებმა ნ. ჯინჭარაძემ, ფ. თავდგირიძემ, ქ. ჩოხარაძემ, ნ. საითაძემ. თითოეულს 5.500 კილოგრამზე მეტი ჰქონდა მოკრეფილი. 300 კილოგრამს კიდევ მოკრეფთო, გვითხრეს.

რ. გოგიტიძის ბრიგადის მეჩაიეებს იმ დღეს გეგმის გადამეტებით 5 ტონა ჰქონდათ მოკრეფილი და კიდევ ამდენს მოკრეფას ვარაუდობდნენ დ. გოგიტიძე, ნ. გვანინიძე, ც. სვანიძე და სხვები, რომელთა ბეჯითი შრომის წყალობით კოლმეურნეობამ დავალება შეასრულა.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა საბჭოთა მეურნეობა „ნივას“ მშრომელებთან.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა ხალხს ყველაფერი ხელეწიფება

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები სოფლის მშრომელებთან

სტავროპოლი, 19 სექტემბერი. მოდით ვილაპარაკოთ ადამიანთან, ვთქმეველინოთ თავისი სათქმელი — ასე უთხრა ამასწინანდელი მიგლინების დროს მ. ს. გორბაჩოვმა ქარხნის ხელმძღვანელებს, როდესაც შეატყო, რომ ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ვრცელი საუბრისათვის მუშასთან, საყოფაცხოვრებო პრობლემები რომ აწუხებდა. მაშინაც და ახლაც — სტავროპოლის მხარეში ყოფნისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დაწვრილებით კითხულობდა, როგორ მიმდინარეობს სოფლის სოციალური გარდაქმნა, როგორ ცხოვრობს სოფლის მშრომელი.

ვხედავ, რომ ბევრს გაქვთ ახალი სახლები, გაგაკეთეთ ქუჩები. არადა, ერთ დროს აქ განყოფილება იყო, ახლა კი საბჭოთა მეურნეობაა, თანაც, თურმე საკმაოდ დიდი — 16 ათასი ჰექტარი. ამ მიწაზე ბარაქიანად მოგიწევთ მუშაობა. კმაყოფილი ხართ ახალი საბჭოთა მეურნეობით?

ხმები: კმაყოფილი ვართ.

მ. ს. გორბაჩოვი: აქ რომ განყოფილება დაეტოვებინათ, დღეს, ალბათ, სოფელი მიგდებული იქნებოდა. ახლა უკვე საბჭოთა მეურნეობა ვითარდება. მაღაზიები თუ გაქვთ, საავადმყოფო, სკოლა?

ხმები: ყველაფერი გვაქვს. სამედიცინო პუნქტიც, საშუალო სკოლაც 1.400 ბავშვისათვის...

მ. ს. გორბაჩოვი: ეს კარგია. როგორი მოსავალი მოიწიეთ წელს?

ხმა: საშუალოდ 32,5 ცენტნერი.

მ. ს. გორბაჩოვი: წლევანდელი წლის პირობაზე ურიგო არ არის. მაგრამ ეს არც ყუბანური მოსავალია, არა, განა? მეტია საჭირო.

ხმა: აი, წყალს მოგვცემენ და მეტიც გვექნება.

მ. ს. გორბაჩოვი: ეგ თავის დროზე ჩემი დავალება იყო. ეგორლიკის მარცხენა არხს აშენებთ?

ხმა: დიახ, უკვე გვერდით ჩაგვიდის, 960 ჰექტარს მორწყავს. „ყუბანი“ დასაწვიმ მანქანებს ვამონტაჟებთ.

მ. ს. გორბაჩოვი: როცა სტავროპოლის მხარის ყველაზე გვალვიან რაიონებში წყალი გაიყვანეს, მთლიანად შეწყდა ხალხის აყრა სოფლებიდან, სადაც ძალზე ჭირდა ცხოვრება. წინათ წასულებიც კი დაბრუნდნენ. მზიანი ადგილია, არც მაწყა ურიგო. ახლა წყალიც გაჩნდა და კაცს შეუძლია კარგად იცხოვროს, კარგად აკეთოს საქმე. სხვა, რას მეტყვით?

ხმები: გვინდა მშვიდობა იყოს. და კიდევ, ნება გვიბოძეთ, ყველა პენსიონერის სახელით პარტიას და მთავრობას მადლობა მოვახსენოთ იმისათვის, რომ არ გვაშინებს სიბერე, ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ. მოგვიტანენ ხოლმე ფულს, ხელს ჩამოგვართმევენ, კარგად ყოფნას გვისურვებენ.

მ. ს. გორბაჩოვი: კარგია, თანაც თუ შვილებიც გყავთ, შვილიშვილებიც!

ხმა: არც საბჭოთა მეურნეობას ვინებებთ თავს. შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ცოტ-ცოტას.

მ. ს. გორბაჩოვი: მოხუცული ვარ, ამას რომ ამბობთ. ვფიქრობ, ყველა ახალგაზრდა გაგიბით უნდა ეკიდებოდეს ასაკს. აქ ხომ საქმე ეხება მათს დედებსა და მამებს, მათს ბებიებსა და პაპებს, რომლებსაც ბევრი ჭირ-ვარამი გამოუვლიათ და დიდი ჯაფაც დაადგათ. ამიტომ გავზარდეთ პენსიები. ჩვენ კვლავაც ვიზრუნებთ, რომ საპენსიო კანონმდებლობა უკეთ უზრუნველყოფდეს სიბერეს. რაც უფრო გავიზრდებით, მით უფრო გაუმჯობესდება საპენსიო საქმეებიც. ის კი არა, გადავწყვიტეთ შეექმნათ პენსიონერთა საკავშირო ორგანიზაცია, რათა ისინი გაერთიანდნენ, არ მოიწყინონ, რაღაც აკეთონ. უნდა მივცეთ გარკვეული უფლებები. ბევრი პენსიონერი შრომობს, შემოაქვს თავისი წვლილი. ესეც კარგია. აი, პენსიონერი ბებიების დეფიციტი კი გვაქვს. მათი დახმარება ახალგაზრდა ოჯახებისათვის უდიდესი საქმეა. რას იტყვით, ახალგაზრდებო?

ხმა: ახალგაზრდები გეთანხმებით. გმადლობთ, მიხეილ სერგის ძევ, ასე რომ ზრუნავთ ახალგაზრდობისათვის, მშვიდობისათვის.

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა იზობილნის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი სამეურნეობათშორისო კომპლექსის „იზობილნის“ მეცხოველეებს. საუბარი მაშინვე ჩამოვარდა ყველაზე მთავარი საკითხის — სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის, ზამთრობისათვის მზადყოფნის, საკვები ბაზის განვითარების რეზერვების შესახებ. და, რაღა თქმა უნდა, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვი: იცით, ვეღარ ვცნობ კომპლექსს, რომელმაც ოდესღაც სისხლი გაუშრო ადგილობრივ ხელმძღვანელებს. **(გამოცოცხლება).** ახლა კი კომპლექსი მეცხოველეობის ნამდვილ თანამედროვე ქალაქად ქცეულა. აქ ბევრი რამ იყო მოუხერხებელი, ბევრი რამ იყო სარეკონსტრუქციო.

ხმა: სწორედ რეკონსტრუქციამ გვიშველა.

ხმა: მიხეილ სერგის ძევ, გუშინ ტელევიზიით უყურადღებით ვადევნებდით თვალს თქვენს გამოსვლას. მასში დასახულია ყოველი ჩვენგანის, მთელი საზოგადოებრიობისათვის დიდწინშენელოვანი პრობლემები. ჩვენი შრომა იცვლება.

მ. ს. გორბაჩოვი: ეს სწორია. ამინდზე რაღას მეტყვით? მაგრად გაცხუნებთ?

ხმები: წლეულს განსაკუთრებით. სამი თვე იქნება არ უწვიმია.

მ. ს. გორბაჩოვი: არადა, მოსავალი მაინც . მოიწიეთ. თანდათან ვსწავლობთ.

ხმები: ტექნოლოგია უფრო ძლიერი ხდება. ბრიგადული იჯარა გვშველს.

მ. ს. გორბაჩოვი: უკვე დამკვიდრდა ბრიგადული იჯარა?

ხმები: დიახ, დამკვიდრდა. ოპერატორიდან დირექტორამდე ყველანი ბრიგადულ იჯარაზე ვართ. ერთად ჯობს მუშაობა, ვიდრე მარტოკა. დიდი საქმეა, რომ იჯარამ გამიჯნა ხელფასი, კოლექტივს თვითონ შეუძლია მისი შესწორება. ცუდად ეკიდები საქმეს, ნაკლები მიიღე.

მ. ს. გორბაჩოვი: ამას თვითონ აკეთებთ?

ხმები: თვითონ.

მ. ს. გორბაჩოვი: ჩვენი ხალხი მომწიფდა იმისათვის, რომ თვითონ მართოს, განსაკუთრებით ბრიგადაში, როგორში, კომპლექსში. დაე, შეიკრიბონ და ხელმძღვანელობასთან ერთად იმსჯელონ. ეს საკაბინეტო საქმეები როდია. და რასაც ხალხი გადაწყვეტს, სწორედ ის იქნება ყველაზე უტყუარი დემოკრატია. და გარდა ამისა, ისიც სწორად თქვით, ერთად, კოლექტიურად ყოველთვის ჯობს, რადგანაც უფრო ჩანს, ვინ როგორ მუშაობსო. როცა წამოიჭრება კითხვა: ჩვენ ვმუშაობთ, ვცდილობთ, ცოდნას, ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, შენ კი რა, ჩვენი საერთო მონაგარით გინდა მოითმო ხელი? მაშინ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს მოგიყენებთ.

ხმა: დისციპლინის დარღვევა ჩვენთან პრაქტიკულად შეწყდა. შევნიშნავთ: სტავროპოლის მხარეში ცოტა როდია მეცხოველეთა კოლექტივი, რომელთა მიღწევები სახორცე მესაქონლეობის ინტენსიფიკაციის ორიენტირად გამოდგება, მაგრამ „იზობილნის“ მეურნეობა ამ ბოლო ხანებამდე ჩამორჩენილთა შორის ირიცხებოდა. მისი ხელმძღვანელები და სპეციალისტები სრულად ვერ იყენებდნენ სამეურნეობათშორისო კოოპერაციის უპირატესობას. რომ იტყვიან, კომპლექსის გარეთ რჩებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

და აი, საქმის ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდა: წარმოება უზარალო გახდა, სახელმწიფოსათვის საჭონლის ხორცის მიყიდვის საშუალო წლიურმა წმინდა მოგებამ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

მ. ს. გორბაჩოვი: მითხარით, ბინით თუ ხართ ყველანი უზრუნველყოფილი?

ხმა: ჯერ არა. მაგრამ დიდ მუშაობას ვეწევით.

მ. ს. გორბაჩოვი: თქვენ ძირითადად სტანიცაში ცხოვრობთ.

ხმები: სტანიცაში და რაიონულ ცენტრ იზობილნიში.

ნ. ზ. ბაიკულოვი (საბჭოთა მეურნეობის დირექტორი): მიხეილ სერგის ძევ, ამჟამად იზობილნიში 8-ბინიან საცხოვრებელ სახლს ვაშენებთ, წელს მთლიანად გამზადებულს ჩავაბარებთ. კიდევ ერთს ჩავუყარეთ საძირკველი — კედლები უკვე მესამე სართულამდეა ამოყვანილი.

მ. ს. გორბაჩოვი: კი მაგრამ, რაკა იზობილნიში, სოფლისაგან დაშორებით? სახლები გვერდიგვერდ უნდა გედგათ.

ნ. ზ. ბაიკულოვი: ჩვენ ეს გავითვალისწინეთ. სტანიცა ნოვოტროიცკაიაში მიწა მოგვცეს, იქ ვაშენებთ, რათა ყოველ მეურნეს ჰქონდეს კარ-მიდამო, ჰყავდეს ძროხა, გოჭები...

მ. ს. გორბაჩოვი: ყველაფერი როგორც წესი და რიგია. სახლიც თანამედროვე უნდა იყოს, კეთილმოწყობილი, კარ-მიდამოც, ბაღიც, ბოსტანიც. ქალაქელები ითხოვენ; ერთი გოჯი მიწა მოგვეცით, რომ რამე ვაკეთოთო. მიწამ ყველა მიიზიდა. სწორია! დიდ ქალაქებში ეს განსაკუთრებით იგრძნობა. ხალხი მიწას ეტანება, ბოსტანს, ბაღს; ქალაქის ფუსფუსს უნდა გაერიდოს. მაშ სოფლის მცხოვრები რაღატომ უნდა ავრეკოთ სართულებზე?

ხმა: მრავალსართულიან სახლში თავს უხერხულად გრძნობ.

მ. ს. გორბაჩოვი: იქნებ, მალე რომელიმე ახალგაზრდამ ძროხები მარტო წიგნის მეშვეობით თუ იცნოს?

ხმა: ასეთები ჩვენში არ არიან. ძროხა ბევრს ჰყავს. ახალგაზრდობა სოფლად რჩება.

მ. ს. გორბაჩოვი: ეს ძალზე კარგია.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი მიმართავს სკკპ იზობილნის რაიკომის პირველ მდივანს ვ. პ. ბონდარევს: იზობილნის რაიონის ინდივიდუალურ სექტორში რამდენი ძროხაა?

ვ. პ. ბონდარევი: 3 ათასი. ხუთწლედთან შედარებით მატება გვაქვს. ახლა ოთხ კომლზე ერთი ძროხა მოდის.

მ. ს. გორბაჩოვი: ცოტაა... ყუბანში ტიმაშეველებმა შემომჩივლეს, მაღაზიაში კარაქი არა გვაქვსო. და ამას ამბობენ სოფლის მცხოვრებნი! ვეუბნები: ხელი აწიეთ, ვისაც ძროხა გყავთ-მეთქი. 5-7 კაცმა აწია ხელი. აქ რამდენი ძროხაა? მეტი?

ხმები: ქალაქ იზობილნიშიც კი არის ძროხები.

მ. ს. გორბაჩოვი: კიდევ რა კითხვები გაქვთ, რა სურვილები?

ხმები: კოსმოს მივაღწიეთ, სიბერეს კი ვერ ვებრძვით. **(გამოცოცხლება, სიცილი).**

მ. ს. გორბაჩოვი: თუ უფრო ჯანსაღი ყოფა "გვექნა, შრომის ჯანსაღი პირობები, უკეთესი ტექნიკა, მაშინ კაცი ისე აღარ გასავათდება, მაშასადამე, თავსაც უკეთ იგრძნობს. და სიცოცხლეც გაუხანგრძლივდება, აქტიური სიცოცხლე.

ნაშუადღევს სტავროპოლში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა მხარის პარტიულ აქტივთან.

ა. ბელიკოვი,
ნ. სტიაჟკინი,
საკდესის სპეციალური კორესპონდენტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

კრასნოდარის მხარის პარტიულ აქტივთან შეხვედრაზე

ამხანაგებო!

მოგეხსენებათ, შვებულებიდან ვბრუნდები. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეეთანხმდით, რომ, დროის დაუკარგავად, გზად შემეძლო ვწვეოდი ყუბანს, სტავროპოლს. შევხვედროდი მშრომელებს, მესაუბრა აქტივთან, გაცნობოდი თქვენს მუშაობას, იმას, თუ როგორ ცხოვრობთ, როგორ მიდის თქვენთან გარდაქმნა.

ცენტრალური კომიტეტისათვის ეს, ამხანაგებო, ძალზე მნიშვნელოვანია. ეს განისაზღვრება იმ პრინციპული მნიშვნელობით, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ გარდაქმნას, ვინაიდან ეს არის ჩვენს მიერ დასახული დაჩქარების გეზის რეალიზაციის გზა. ეს განისაზღვრება იმ მნიშვნელობით, იმ როლით და იმ წვლილით, რომელიც კრასნოდარის მხარეს, სტავროპოლის მხარეს შეაქვთ საყოველთაო ბრძოლაში სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის, ჩვენი საზოგადოების შემდგომი სრულყოფისათვის სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული პრინციპების შესაბამისად.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიღებული ინფორმაცია, პრესის მასალები და, კაცმა რომ თქვას, ჩემი შეხვედრებიც ქვეყანაში მოგზაურობის დროს, მათ შორის გუშინდელი და დღევანდელი შეხვედრებიც, ცხადყოფს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ყველა როდი გაერკვა რიგიანად იმაში, თუ რა არის ბოლოს და ბოლოს გარდაქმნა. და, რაც მთავარია, რატომ არის იგი ასე აუცილებელი? ზოგი ასეთ დასკვნებამდე და აზრამდეც კი მიდის; იქნებ უფრო მშვიდად შეძლება საქმის გაძღოლაო? რატომ ვლაპარაკობთ დღენიადაგ გარდაქმნაზე? რისთვის არის იგი საჭირო?

ეს კითხვა, ამხანაგებო, უბრალო არ გახლავთ. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ლაქლაქად, ყბედობად არ ვაქციოთ გარდაქმნა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ გარდაქმნამ მიიღოს შეუქცევადი ხასიათი, აამოძრაოს უდიდესი ძალები, რომლებსაც ჩვენი სოციალისტური წყობილება შეიცავს.

შემდგომი მსჯელობისას მინდა დავეყრდნო ლენინის უაღრესად ღრმა აზრს, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჯერ კიდევ პირველად წაკითხვის დროს. მას შემდეგ, როგორც ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი სახელმძღვანელო აზრი, განსაზღვრავს ჩემს საქციელსა და მოქმედებას. ეს დებულება მინდა შეგახსენოთ, რადგანაც იგი შეიძლება გახდეს იმ საკითხის გაგების გასაღები, რომელზეც ვისაუბრებთ. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ვინც კერძო საკითხებს წყვეტს ზოგადი საკითხების წინასწარ გადაუწყვეტლად, თავისდა შეუგნებლად „წაადწყდება“ ამ ზოგად საკითხებს... რაც... იმას ნიშნავს, რომ თავისი პოლიტიკა უცდესი მერყეობისა და უპრინციპობისათვის გასწიროს“.

70-იანი და 80-იანი წლების მიჯნაზე მწვავედ დადგა საბჭოთა საზოგადოების განვითარების სტრატეგიის შემუშავების საკითხი. ახლანდელ ისტორიულ ეტაპზე ჩვენი ბრძოლის სწორედ ასეთი ზოგადი საკითხები უნდა გადაეწყვიტა 1985 წლის აპრილის პლენუმსა და სკკპ XXVII ყრილობას. დღეს ჩვენ გვაქვს მართლაცდა მეცნიერული, გააზრებული, მე ვიტყოდი, ღრმად გააზრებული, პოლიტიკური გეზი — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია.

პარტიამ საკუთარი მაგალითით გვიჩვენა პრინციპულობის კაკვეთილი, სიმართლის გაკვეთილი, და მოგვიწოდა აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა ბრძოლაში ჩვენი საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობისათვის, იმ სახლის განახლებისათვის, რომელშიც ჩვენ და თქვენ ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ.

არადა, ყოველი პატრონი, თავის სახლზე როცა ფიქრობს, მუდამ ზრუნავს იმისათვის, რომ იგი იყოს უფრო მტკიცე, უფრო მოსახერხებელი ყველა თვალსაზრისით და უმჯობესდებოდეს წლითიწლობით, ვინაიდან თვით ადამიანი იზრდება, იცვლება მისი მოთხოვნილებები და მოთხოვნებიც საკუთარი სახლისადმი რთულდება, მატულობს. მაგრამ საკეროა ფიქრი, ზრუნვა ამ სახლისათვის, მისი მოწყობა საერთო მეცადინეობით, მისი შეცვლა, რომ კარგად ვცხოვრობდეთ და ლაღად ვსუნთქავდეთ მასში.

ჩვენს ხალხს ცვლილებებისთვის, გარდაქმნებისთვის მოვიწოდებთ. პარტიამ გამოავლინა ხალხის რევოლუციური სულისკვეთების ღრმა რწმენა და მართლაცდა რევოლუციური პოლიტიკა შესთავაზა მას საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ყრილობაზე ზოგადი მიზნები მოვნიშნეთ, შეიქმნა იმის საჭიროება, რომ დაგვეკონკრეტებინა ზოგადი საკითხები საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების, სოციალისტური შენებლობის ყველა სფეროსთან მიმართებით. და, რაც მთავარია, უზრუნველგვეყო ყრილობის გეზის განხორციელება. ჩვენს წინაშე სრულიად ახალი და, მე ვიტყოდი, უდიდესი მასშტაბის ამოცანები დადგა.

ჩვენ გვახსოვს ილიჩის რჩევა: ხელს ნუ მოჰკიდებთ ახალი ამოცანების გადაწყვეტას ძველი მიდგომის საფუძველზე. მე ეს უკვე ვთქვი, მოვიყვანე. მისი სიტყვები ნამდვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაარსით: „ხელს ნუ მოჰკიდებთ ახალი ამოცანების გადაწყვეტას ძველი მიდგომის საფუძველზე, ამისგან არაფერი გამოვა“. აი, ილიჩის ღრმესი, სახელმძღვანელო მითითება ჩვენი და თქვენი მუშაობისათვის სოციალისტური შენებლობის ახლანდელ ეტაპზე. აი, ამიტომ გვჭირდება, სახელდობრ, გარდაქმნაც.

ძველებურად ცხოვრება და მუშაობა, ფიქრი და მოქმედება ღრმა მონაწილეობა ბრძოლაში ჩვენი საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობისათვის, ამ სახლის განახლებისათვის, რომელშიც ჩვენ და თქვენ ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ.

ხმები: ნელ-ნელ, ნელ-ნელ. ეს ეს ეს. ეს ეს ეს. ეს ეს ეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

კრასნოდარის მხარის პარტიულ აქტივთან შეხვედრაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

რა თქმა უნდა, ჩვენ სხვა დროს ვცხოვრობთ, განსხვავებულ ისტორიულ პირობებში ვსახავთ და ვახორციელებთ ჩვენს გეგმებს. მაგრამ შეგვიძლია გამოვიყენოთ და უნდა გამოვიყენოთ კიდეც ლენინის გაკვეთილები გარდაქმნის ორგანიზაციაში. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა: სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია — ჩვენ სწორ გზას ვადგავართ. დაჩქარების, გარდაქმნის გეზით თანამიმდევრულად და მტკიცედ ვიქცევთ.

გარდაქმნის დროს მტკიცდება ჩვენი საზოგადოება, ვიძენთ გამოცდილებას, ახალ პირობებში მუშაობის, ახალი ამოცანების გადაწყვეტის უნარს. ჩვენ ის აღარა ვართ, რაც გუშინ და, მით უმეტეს, ერთი წლის წინ ვიყავით. და ყოველი თვე, ყოველი დღე შეგვმატებს გამოცდილებას, უნარს, გაგვხდის უფრო ძლიერებს, იმის შემძლებელს, რომ გადავწყვიტოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მზარდი ამოცანები.

ამ დღეებში დიდი ინტერესით წავიკითხე „ლიტერატურნაია გაზეთაში“ ცნობილი დრამატურგის ალექსანდრე გელმანის შენიშვნები დღევანდელ დროზე. თავისი მსჯელობა მან დაამთავრა სიტყვებით, რომლებიც მინდა აქ მოვიყვანო: ნუ ვიკითხავთ ქედმაღლურად: კაცმა რომ თქვას, რა შეიცვალა, სად არის ცვლილებები? დიდ ცვლილებს რაღაც ვერ ვხედავ. უნდა ვიმუშაოთ, უნდა ვიშრომოთ იმისათვის, რომ გარდაქმნა შეიქცევადი გახდეს. დიახ, ასე გახლავთ, ამხანაგებო! მე ამ სიტყვებს მთლიანად დავეთანხმებოდი.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისეთ დიდმნიშვნელოვან სფეროშიც, როგორიც ეკონომიკაა, თუმცაკი არა ყველგან, არა ყველა მიმართულებით, არა ერთნაირად, მაგრამ მაინც ხდება პოზიტიური ძვრები.

ჩვენთვის ეკონომიკა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. ამ ბოლო დროს მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი განხორციელდა ამ დარგში. ისინი მოიცავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მართვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, პროდუქციის ხარისხის, რესურსების დაზოგვის პრობლემებს. ეს არის ჩვენი აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. ჩვენ ახალ რელსებზე გადაგვყავს მსუბუქი მრეწველობის მუშაობა, ვაჭრობა, სამშენებლო კომპლექსი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა მიმართულებით ჩაღდება ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნა. ეს სწორედ ის ამოცანებია, რომლებმაც უნდა აამოქმედონ სიღრმისეული რეზერვები, სოციალიზმის პოტენციალი დაჩქარებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპებზე.

ეს არის ჩვენი ფართო მასშტაბის ღონისძიებანი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფისთვისაც, რომელიც უწინარეს ყოვლისა უკავშირდება ახლანდელ ეტაპზე სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებას.

არის კიდევ, ამხანაგებო, ბევრი პრობლემა, რომლებიც გადაჭრას ელოდებიან. ჩვენ მათ განვიხილავთ და გადაეჭრით ნაბიჯ-ნაბიჯ, არჩეული გზით წინსვლისას.

უკვე ახლა ჩვენი მეცადინეობა რეზერვების გამოყენებისათვის, საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების, დისციპლინის განტკიცებისათვის — ასე ვთქვათ, ჩვენი უთანლოესი რეზერვები — პოზიტიურ გავლენას ახდენს ეკონომიკის მდგომარეობაზე. შედეგდი: 8 თვეში სახალხო მეურნეობის ბევრი მაჩვენებელი, რომლებსაც იგივე ბაზაზე მივაღწიეთ, აღემატება გასული წლის შესაბამის დონეს და მიმდინარე წლის საგეგმო დავალებებს. ეს ეხება მრეწველობასაც, აგრარულ სექტორსაც, ტრანსპორტსაც, კაპიტალურ მშენებლობასაც და ისეთ მნიშვნელოვან, არცთუ მარტივ სფეროსაც, როგორიც ვაჭრობაა.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 8 თვის მანძილზე 4,8 პროცენტით გაიზარდა წლიური დავალებით გათვალისწინებული შედარებით დიდი მაჩვენებლის — 4,1 პროცენტის ნაცვლად. აშშ შესაძლებლობა მოგვცა უზრუნველგვეყო სამრეწველო წარმოების მოცულობის მატების ტემპი 5,2 პროცენტის ოდენობით, მაშინ როდესაც წლიური დავალებით 4,3 პროცენტია გათვალისწინებული. თუ ამ შედეგებს პოლიტიკური პოზიციებიდან განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მშრალი ციფრები — ეს არის საბჭოთა ხალხის მიერ პარტიის გეგმების მხარდაჭერის, უველაზე მძლავრი მხარდაჭერის, საკუთარი გარჯით მხარდაჭერის გამოხატულება. ჩვენმა ხალხმა ამითაც გამოავლინა თავისი დამოკიდებულება პარტიის გეზისადმი, გარდაქმნისადმი.

ჯერ კიდევ ვერ გვაკმაყოფილებს ჩვენი ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები. მაგრამ ამავე დროს ვამჩნევთ — და ესეც ფრიად დიდმნიშვნელოვანია: უნდა ამჩნევდე, ხედავდე ყოველივეს, რაც ხდება, სიტუაციია ჩვენს ვეებერთელა მეურნეობაში, თუმცა ნელა, ზოგან, ალბათ, ძალზე ნელა, მაგრამ მაინც იცვლება, იცვლება უკეთესობისაკენ.

აი ხედავთ, თითქოს რა წინააღმდეგობრივი სურათია. მაგრამ მასში ჩვენ ვხედავთ პოზიტივსაც. ხოლო მეორე მხრივ — პრობლემებს, რომლებიც გადაჭრას მოითხოვს. შარშან 8 თვის მანძილზე ხელშეკრულებათა მიხედვით პროდუქციის უკმარმიწოდებამ 9 მილიარდი მანეთი შეადგინა. თქვენ გესმით, რა არის უკმარმიწოდება? ეს ხომ მთელი სახალხო მეურნეობის ციკ-ცხელებაა. ეს ხომ რიტმულობის რღვევაა. წელს უკმარმიწოდებამ თითქმის 5 მილიარდი მანეთი შეადგინა. მაშასადამე, თითქმის 2-ჯერ შემცირებულა, მაგრამ, ამხანაგებო, 5 მილიარდი დიდი ციფრია. ეს ნიშნავს, რომ ყველას უნდა გვაწუხებდეს სახელშეკრულებო დისციპლინის მდგომარეობა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავართვათ თავი ამ პრობლემას. თუ იგი არ გადაეჭერით და არ უზრუნველვყავით რიტმული მუშაობა, ფონდების ეფექტიანი გამოყენება, მაშინ გუნებაგანწყობილებას გავუფუჭებთ მუშას. მშრომელს. ეს ჩვენი საერთო პრობლემაა, აქ ჩვენ, როგორც ტყვიან, უნდა გავუგოთ, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს და ვიღვაწოთ სახელშეკრულებო ვალდებულებათა უცილობელი შესრულებისათვის.

ანდა, აიღეთ ისეთი მაჩვენებელი, როგორიც არის ძირითადი ფონდების ამოქმედება. ამ 8 თვეში 11 პროცენტით მეტი ფონდები ავამოქმედეთ, ვიდრე შარშან. შეიძლება ითქვას, რომ ეს კარგია. მაგრამ გეგმები ხომ არ შეგვისრულებია. მაშასადამე, მთლად ყველაფერი ვერ არის ისე კარგად, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს. ეს რომ წინათ ყოფილიყო, იტყოდნენ, ძირითადი ფონდების ამოქმედება 11 პროცენტით გაიზარდაო. თუ აქ წერტილს დავსვამთ, სულ სხვა ინფორმაციას მივიღებთ. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ამასთან არ შესრულებულა ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმები, მაშინ ყველა მიხვდება, რომ ბევრი დარგი ვერ მიიღებს სიმძლავრეებს, რომლებითაც უკვე წლის დამლევს უნდა გამოეშვათ პროდუქცია. მშრომელებს დააკლდებათ ბინები, სკოლები, საავადმყოფოები, და ა. შ. აი, რა ყოფილა კაპიტალური მშენებლობის გეგმების უკმაშესრულება ფონდების მიხედვით და კაპიტალური მშენებლობის საერთო გეგმებისა.

ეს სულ უდიდესი მნიშვნელობის საკითხებია, რომლებზეც დამოკიდებულია ეკონომიკის პროგრესიც და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაც. ჩვენი ეკონომიკის პოზიტიური ძვრები ამით გამოიხატა, რომ მოგების გეგმები შევასრულეთ და 8 თვეში თითქმის 3,5 მილიარდი მანეთით მეტი მოგება ვნახეთ.

აი, რა მინდოდა მეთქვა გარდაქმნაზე, როცა ყველაზე ზოგადი სურათი დაგიხატეთ. მე შევეცადე გადმომეცა რეალისტური სურათი, თუ როგორ მიმდინარეობს ყოველივე ეს.

უეჭველია, ძლიერდება გარდაქმნის პროცესი, ადამიანთა შემოქმედებითი ძიება. უფრო ენერგიულად მოქმედებს ყველა რგოლი და ეშელონი. მაგრამ, ამხანაგებო, ჯერ კიდევ შორს ვართ ნამდვილი შემობრუნებისაგან, რომელიც ასე გვჭირდება პარტიის XXVII ყრილობაზე დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. შეიძლება ითქვას — საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ღრმა, რევოლუციური ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ წინ გვიძევს დაძაბული შრომის წლები.

ჩემი გამოსვლის მეორე ნაწილი მინდა მივუძღვნა გარდაქმნის ზოგიერთ სხვა საკითხს.

გუშინ და დღეს ჩვენს შეხვედრაზე ამხანაგების გამოსვლებში გაისმოდა თემა: ადგილებზე, შრომითს კოლექტივებში, მხარეებში, ოლქებში, რესპუბლიკებში იმედოვნებენ, რომ უფრო გააქტიურდება საქმიანობა ჩვენი ცენტრალური უწყება-სამინისტროების გარდასაქმნელად, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დაწყებული ამ თემას მწვავედ აყენებენ. მაშასადამე, იგი რეალურად არსებული.

ეს სწორი მოთხოვნაა ქვეყნის სამეურნეო მართვის ორგანოებისადმი, თუ როგორ განახორციელებენ ისინი გარდაქმნის გეზს, როგორ წარმართავენ შემდგომში საქმეს, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამეურნეო პირობებს, შრომითი კოლექტივების საქმიანობის წინამძღვრებს, ინიციატივიანნ დამოუკიდებელი მუშაობის ვითარებასა და პირობებს. მართვის ზედა ეშელონების საქმიანობამ ხომ შეიძლება დააკნინოს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი, რომლებიც ჩვენ დღეს მივიღეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობაში. და პირიქით, მას შეიძლება კიდევ უფრო მეტი დინამიზმი მივანიჭოთ ამ ეშელონების აქტიური მუშაობის წყალობით.

ჩვენში ადგილებზე ზოგჯერ ცდილობენ ხოლმე ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისათვის პასუხისმგებლობის სიმძიმე ზემდგომთ გადააკისრონ, ხოლო ზემდგომნი ხშირად ცდილობენ პასუხისმგებლობის სიმძიმე ქვემდგომთ გადმოაკისრონ. მითქვამს და კვლავ ვიმეორებ: გარდაქმნა უნდა ვაწარმოოთ ქვემოდანაც და ზემოდანაც. და მინდა, ეს ერთხელ კიდევ დავადასტურო დღევანდელ ეთმოსელობა.

როდესაც ცენტრალური უწყება-სამინისტროების მიმართ გამოთქმული შენიშვნები და საყვედურები მესმოდა, გამახსენდა, როგორ აშუქებდნენ ჩვენი გაზეთები ამ ცოტა ხნის წინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების კომისიების მუშაობას. იქ, კერძოდ, აანალიზებდნენ ახალ პირობებში მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მუშაობას. ძალზე ცხარე განხილვა გაიმართა. დეპუტატებმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, გვარიანად შეახურეს ამ სამინისტროს ხელმძღვანელობა — ღირსიც იყო. ან, ნახეთ, ჩემთვის ჩავინიშნე, რაც იქ ითქვა. სამინისტროს მუშაკები ვერ შელეკავან ძველ ჩვევებს, ქვემდგომ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ძველსა და რბილში გამჯდარ, მაგრამ უკვე ყაზგასულ ღონმებს. და, კაცმა რომ თქვას, ყველაზე მეტად უმძიმთ შეელიონიმ უფლებებს, რომლებიც გარდაქმნის პერიოდში უნდა გადასცეს სამინისტრომ გაერთიანებებსა და საწარმოებს. აი, ყველაზე მთავარი პუნქტი.

გამოირკვა, რომ კონსერვატიზმი მაგრად გასჯდომია ამ სამინისტროს. არადა, იგი უკვე მესამე წელიწადია ატარებს ექსპერიმენტს. მაინც, რაოდენ ძლიერია კონსერვატიზმი, რა ძნელია მისი მორყევა! ეს უნდა გავითვალისწინოთ, ამხანაგებო.

სამინისტროს მუშაკები ცდილობენ არ გაუშვან საკუთარი ხელიდან ის, რაც უნდა გადაეცეს სხვებს — იმათ, ვინც, საბოლოო ანგარიშით, გეგმის ბედს წყვეტს. აპარატი თითქოს შემცირდა, მიმოწერა კი არ კლებულობს. ეტყობა, მოგვიწევს, როგორც აქ ამხანაგებმა თქვეს, სამმართველო აპარატის შემდგომი შემცირება.

სამინისტრო კვლავინდებურად გზაჯვნის უამრავ ცირკულარს, აწესებს მაჩვენებლებს, რომლებიც ექსპერიმენტს არ სჭირდება. მასასადამე, ძველებურად მუშაობენ, ძველი მიდგომის საფუძველზე.

საწარმოებისა და გაერთიანებების ფარგლებში სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობის ხასიათი ფაქტობრივად უცვლელი დარჩა. ნამდვილი სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადები არსებითად არ არის. როდესაც დეპუტატები უშუალოდ გაიცვნენ რამდენიმე საწარმოს, აღმოჩნდა, რომ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებიც და ხელმძღვანელებიც კი, რომ აღარაფერი ვქმიოთ საშუალო პერსონალსა და მეშვეიზე, ძალზე სუსტად ფლობენ საქმის გაძღოლის, მატერიალური სტიმულირების ახალ მეთოდებს. ზოგიერთებმა ეს მეთოდები არც კი იციან. და ეს ხდება ექსპერიმენტის პირობებში მუშაობის მესამე წელს!

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაადგება დარგის ხელმძღვანელობა. შემდეგ ეს პოზიცია ასეთივე სახით ტრანსფორმირდება დარგის საწარმოებშიც.

ობიექტურად ვიტყვი — ამ სამინისტროს ეტყობა წინსვლა. მაგრამ პროგრესი კიდევ უფრო სწრაფად წარიმართებოდა, რომ დაიცვათ საქმის გაძღოლის ახალი პირობები და მეთოდები, აღმინისტრირებიდან მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე რომ გადასულიყვნენ. არადა, საქმე ეხება დარგს, რომელსაც სთხავეში უდგას ჩვენი ძალზე გამოცდილი და თვალსაჩინო სამეურნეო მუშაკი — მინისტრი, ამხანაგი სერგი ალექსანდროვიჩ ძე აფანასიევი. ჩვენ ვაფასებთ მის გამოცდილებას. ამ სამინისტროსა და ამ მინისტრზე ვლაპარაკობ, მაგრამ სხვებსაც ვგულისხმობ. ეს, ეტყობა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სჯაბაასის საგანი უნდა გახდეს.

ჩვენ კვლავაც განვავითარებთ სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის რადიკალური გარდაქმნის იდეებს და განვაგრძობთ წინსვლას. უკვე მიღებულია გადაწყვეტილება და მიმდინარეობს ფართო სამზადისი, რათა ისეთი სამინისტროები, როგორიც არის ქიმიური მანქანათმშენებლობის, საავტომობილო მრეწველობის, ნავთობქიმიური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, საზოგადო ფლოტის სამინისტროებისა და ჩვიდმეტი სამრეწველო სამინისტროს 36 დიდი საწარმო და გაერთიანება 1987 წელს გადავიყვანოთ სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითთანახლაურების პირობებზე, ე. ი. იმ პრინციპებზე, რომლებითაც მუშაობენ ახლა ვოლგის საავტომობილო ქარხანა და სუმის მანქანათსაშენებელი გაერთიანება. ჩვენ კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად ვიქცევთ ამ გზით.

ცენტრალურ კომიტეტს აწუხებს მდგომარეობა, როდესაც უკანასკნელ ხანს მიღებულ დადგენილებათა რეალიზაციის პროცესში ზოგიერთ უწყებას და სამინისტროს უფრო გვიანი ვადებისათვის გადაეაქვთ სრულიად გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტა. ამრიგად, არევიზებენ დადგენილებებს, რომლებიც ეს-ეს არის მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ, თანაც ეს დადგენილებები მათთვე მონაწილეობით არის შემუშავებული. ამ საქმეშიც უნდა გავერკვეთ. მაგრამ უწინარეს ყოვლისა, ვგონებ, ამაზე უნდა იფიქროს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმაც და სამინისტროებმაც.

ეს ძველი პრაქტიკაა, როდესაც არცთუ იშვიათად გადაწყვეტილებებს ჯერ კიდევ სტამბის საღებავის სუნი ასდის, და უკვე გამოაქვთ წინადადებანი მათი გადასინჯვის შესახებ. ამას ბოლო უნდა მოეღოს. მაშინაც კი, როდესაც საკითხს დასაბუთებულად აყენებენ, მაინც უნდა გამოიძებნოს დადგენილების შესრულების გზები. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ მომდევნო დადგენილებათა მომზადების სტადიაზე ყველანი პასუხისმგებლურად მიუდგებიან საქმეს და ჩაწერენ მხოლოდ რეალურ დავალებებს; დასახავენ რეალურ ამოცანებს.

ჩვენში ზოგჯერ ძალზე ეიოლებათ გადაწყვეტილებების მიღება და სურთ ასევე იოლად მოკიდონ მათ. ეს არის საშინაო გზა, რომელსაც ჩვენ სულ ცოტა ხნის წინ ვადექით და ვიცით, რა მოჰყვა ამას. ათობით წლის მანძილზე მწვავე პრობლემები გადაუჭრელი რჩებოდა. ერთი მხრივ, იქმნებოდა აქტიური პრაქტიკული მუშაობის მოჩვენებითი სურათი, იღებდნენ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ საკითხზე, მეორე მხრივ, იქვე, წლის ბოლოს, მორიგი წლიური გეგმის შედგენისას დასტა-დასტა შეჰქონდათ ცვლილებები ამ დადგენილებებში. საშინაო გზაა, ჩვენ ამ გზით არ წავალთ, და ყველა ამხანაგი უნდა გავაფრთხილოთ ამის თაობაზე.

ჩვენში ჯერ კიდევ არის სამინისტროები, რომლებიც ივნისის პლენუმის შემდეგაც გვთავაზობენ ასლად მშენებარე საწარმოებში ტექნიკურ გადაწყვეტებს, რომლებსაც სიახლის ნიშან-წყალი არ ატყვიათ. მათ რომ დავთანხმებოდით და განგვეხორციელებინა ეს პროექტები, მაშინ სულ ცოტა 15-20 წლით დავაკონსერვებდით ჩვენს ჩამორჩენას ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვან სფეროში. ამ მხრივ ჩვენ კმედავთ, რაოდენ ნელა გარდაიქმნებიან ჩვენი ცენტრალური უწყებები და ის, ვინც აკონტროლებს მათ, — მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტიც. ზედმეტი არ იქნებოდა შეგვეხსენებინა მისთვის, რომ იგი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს თავის როლს.

ჩვენ, ამხანაგებო, გავაფართოეთ საკაროობა, საჭიროდ ვცანით პრობლემების აშკარა განხილვა. ზოგჯერ ეს აწუხებს კიდეც ჩვენს აქტივსაც, ვეტერანებსაც, სხვებსაც. ზოგიერთები ცენტრალურ კომიტეტში გვიგზავნიან წერილებს (ისინი აქა მაქვს): ჩვენ ყველანი გარდაქმნის მომხრენი ვართ, მაგრამ რაღაც ძალზე მოუხშირეთ კრიტიკას. ნუთუ ყველაფერი ასე ცუდად გვაქვს?

ზოგნი ამბობენ, კრიტიკა უნდა განვაგრძოთ, არ დავაცხროთ, მაგრამ აჯობებდა, უფრო მეტად გვეჩვენებინა პოზიტიური, ის, რაც გარდაქმნაში ვლინდებაო. აი, მეც ამ ორი ერთარსი ფორმულის მომხრე ვარ.

საკაროობა ჩვენ უნდა გავაფართოოთ, უფრო ფართოდ გავაღოთ კარი. ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს ყოველივე, რაც ხდება შრომითს კოლექტივში, რაიონში, ქალაქში, ოლქში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში.

ნუ დაგვავიწყდება ნურავის, მათ შორის, ნურც ხელმძღვანელ კადრებსა და კომუნისტებს, რომ ჩვენი პარტია მმართველია. იგი ამუშავებს პოლიტიკურ გეზს, ახორციელებს საკადრო პოლიტიკას, ორგანიზატორულ-იდეოლოგიურ ბ ი ო ს საქმიანობას, მიუძღვის ხალხს.

მაგრამ, ამხანაგებო, პარტია ხალხს ემსახურება, მისი ხელმძღვანელი მდგომარეობა პრიორიტეტია როდია. ეს არის, უწინარესად, ქვეყნის სვე-ბედისათვის უდიდესი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. ამიტომ პარტია და მაშასადამე, ყველა კომუნისტი, ჩვენ ყველანი — რიგითი კომუნისტიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნამდე, პოლიტბიუროს წევრებამდე — ხალხის მსახურნი ვართ. ვისაც ეს დავიწყებია, ამ ტრიბუნიდან შევახსენებ.

ჩვენი საქმე სწორია. ჩვენ ვგრძნობთ, რომ სწორი გზას ვადგავართ. ეს მოძრაობა ძალას იკრებს, მას შეუქცევადი ხასიათი ენიჭება. გარდაქმნა უფრო დინამიკურად წარიმართება, თუ ჩვენ მეტ ყურადღებას დავუთმობთ საზოგადოებაში დემოკრატიის გაფართოების საკითხებს.

ხოლო როდესაც, ამხანაგებო, საქმე საქმეზე მიდგება, და საჭიროა კონკრეტულად შევასხათ ხორცი პოლიტიკურ დებულებებს, კერძოდ, გავაფართოოთ დემოკრატიზება, ფართოდ ჩავაბათ მშრომელები ეკონომიკის მართვაში, სულიერ სფეროში, სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, ზოგან ფერხდებიან, ზოგან იბნევიან.

თურმე, საჭირო ყოფილა მოთათბირებოდნენ ხალხს, სულ მუდამ ადამიანებთან ერთად ყოფილიყვნენ. კომუნისტი მასების შუაგულში უნდა ტრიალებდეს, ნიადაგ იყოს დაკავშირებული ხალხთან, ემსახურებოდეს მას, გამოხატავდეს პოლიტიკით იმას, რასაც ხალხი ამბობს, ფრთას ასხამდეს ადამიანებს ამ პოლიტიკის ხორცშესასხმელად. ეს სადა, მაგრამ უაღრესად ღრმა ლენინური ფორმულები გახლავთ. ისინი ჩვენ დღესაც გვჭირდება, გვჭირდება როგორც ჰაერი, როგორც მთავარი ბერკეტი იმისათვის, რომ ფრთა შევასხათ საზოგადოებას გარდაქმნისათვის.

მაგრამ ძალზე ძნელია მოახდინო ეს გადატრიალება. ზოგიერთ მუშაკი მშრომელებთან ცოცხალ ურთიერთობას ქაღალდებში კირკიტს ამჯობინებს. შეავგრილ კაბინეტში, დაჯდება და მოჰყვება ქაღალდების გადაწყობა-გადმოწყობას. როცა ეტყვიან: წადი შრომითს კოლექტივშიო, მიუგებს: აი, საჩივარს პასუხი უნდა გავცეო. და წერს პასუხს, რომელიც გარჩევამდეც აშკარა იყო. წერს მთელ კვირას, ნამდვილი სამუშაო კი გაუნზე რჩება. ასეთ პრაქტიკაში აშკარად იგრძნობა უნდობლობა, შეხვდეს ადამიანებს, მონაწილეობდეს გარდაქმნის ცოცხალ პროცესში.

ასეთი მიდგომის მიღმა აშკარად გამოსჭვივის დემოკრატიის მნიშვნელობის შეუფასებლობა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა: ჩვენ ყველას, ამხანაგებო, გვმართებს ვისწავლოთ დემოკრატიის გაფართოების პირობებში მუშაობა. წინათ შენ ბრძანებებს იძლეოდი, ადმინისტრირებდი, ახლა კი უნდა დარაზმო ადამიანები, ჩააბა ყველანი აქტიურ საქმეებში, გამოიყენო მასების პოტენციალი.

თურმე, ბევრს არ ეპიტნავება საკარისობა სულ უფრო მეტად რომ მკვიდრდება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. მრავლად არის შემთხვევები, როდესაც კრიტიკაზე მტკივნეულად რეაგირებენ მშრომელები — მუშები და გლეხები, ის კი არა, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. ყველა რიგი ხვდება მოწონებით დემოკრატიის გაფართოების პროცესს.

დემოკრატია, ამხანაგებო, — ეს არის არა მარტო უფლებები, ეს არის პასუხისმგებლობა, მოვალეობა, ეს არის დისციპლინის საკითხი; დემოკრატია არც თავაშვებაა და არც ანარქია. იგი ხორციელდება უფლებებისა და მოვალეობის ერთიანობის პირობებში, რომლებიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გამოავლინოს თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია.

ამასთანავე დემოკრატია გულისხმობს თითოეულის შრომითს მონაწილეობას ჩვენი საზოგადოების მიზნების რეალიზაციაში. ეს კი ნიშნავს, რომ დემოკრატია ამ მხრივ ყველას სწვდება. ამიტომ, როდესაც დემოკრატიის გაფართოებაზე ვლაპარაკობ, ეს მარტოოდენ თანამდებობის პირებს როდი ეხება. არა, ეს ყველას ეხება.

ამასთან დაკავშირებით აზრებს ჩვენ ლენინური მემკვიდრეობა გვმატებს. ბევრი რამ უთქვამს ვლადიმერ ილიას ძეს სოციალიზმსა და დემოკრატიაზე. დღეს მინდა მოვიყვანო მისი სიტყვები სტატიიდან „მარქსიზმის კარიკატურის შესახებ“, „სოციალიზმი, — ამბობს ვლადიმერ ილიას ძე, — დემოკრატიის გარეშე შეუძლებელია ორი აზრით. პირველი, პროლეტარიატი ვერ შეძლებს სოციალისტური რევოლუციის მოხდენას, თუ იგი საამისოდ დემოკრატიისათვის ბრძოლით არ ემზადება; მეორე, გამარჯვებული სოციალიზმი ვერ შეინარჩუნებს თავის გამარჯვებას... თუ სრულად არ განახორციელა დემოკრატია“.

ჩვენ ვრცელი გადაწყვეტილება მივიღეთ საბჭოების თაობაზე. მათ ფართო გზას ვუხსნით. ვქმნით სამართლებრივ შესაძლებლობებს საიმისოდ, რომ მათ მთლიანად გამოიჩინონ თავი, როგორც მშრომელთა ხელისუფლებამ. საბჭოების ძირითად მასას ხომ მუშები და გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენენ.

ჩვენ უნდა დავადგეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებების გაფართოების გზას. განა, ჩვენ დავკარგავთ რამეს, თუ ახლა, გარდაქმნის პროცესში, როდესაც ნოვატორულ ამოცანებს ვწყვეტთ, გავაფართოებთ კომკავშირის უფლებებს ყველა სფეროში. და, კერძოდ, შეიძლება ისეც დავაყენოთ საკითხი, რომ საწარმოში არავითარი საკითხი არ წყდებოდეს უკომკავშიროდ, უახლგაზრდოდ. განა ეს არასწორი დაყენებაა?

აიღეთ ჩვენი საწარმოები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე პოზიციებზე მუშაობენ, ვინ შრომობს იქ? ახალგაზრდობა! და არა მარტო რიგითს მუშაკებად, არამედ ინჟინრებადაც!

ჩვენ ვითვისებთ ახალ სივრცეებს, რომლებიც ქვეყნის ნედლეულის ბაზასთან, ენერგეტიკასთან არის დაკავშირებული. ვინ შრომობს იქ და ვინ ითვისებს იქაურობას? ახალგაზრდობა!

მხოლოდ ნდობა, პასუხისმგებლობა, დიდი სახელმწიფო ამოცანების, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში, სახალხო მეურნეობის მართვაში, ზნეობის, წესრიგის საკითხთა გადაწყვეტაში რეალური ჩაბმა გახდის ჩვენს ახალგაზრდობას აქტიურს, სოციალიზმის იდეების ერთგულს.

თუ ზოგან რაღაც არ გამოგვდის, თუ ახალგაზრდობის აპოლიტიკურობის, გულგრილობის ფაქტებს ვაწყდებით, თუ იგი წვრილმანი იდეებისა და საზრუნავის ნაკუწში იკეტება, — ეს ჩვენი ბრალია. ახალგაზრდობას სუფს აქტიურად მონაწილეობდეს გარდაქმნაში. ჩვენ ამას ვგრძნობთ, და ეს მისასალმებელია. განა ძნელია გადაწყვეს ეს სამართლებრივი თვალსაზრისით? განა ამას არ გვანებებენ დღევანდელი ნორმები, რომლებიც სამეურნეო ცხოვრებას თუ ინსტიტუტებს, სკოლებს საქმიანობას არეგულირებენ? განა უკვე დღეს არ შეგვიძლია ფიქრი ვიფიქროთ კომკავშირის თვითმოქმედების, მეტი პასუხისმგებლობის, მეტი დამოუკიდებლობის საკითხზე? შეგვიძლია და ეს ჩვენი საზრუნავია, ეს დემოკრატიის გამოვლინებაა.

ზოგან პროფკავშირები უკბილონი გახდნენ. თუკი ზოგიერთი პარტიული მდივანი „პოლკას“ უვლის ხელმძღვანელთა გარშემო, თავს დაჰფარფატებს, იმის მაგივრად, რომ წარმართოს მათთან ურთიერთობა პარტიულ საფუძველზე, ჩვენი პრინციპებით, პროფკავშირი ხომ თვალში შესაცინებს ხელმძღვანელებს, და ლამის კრაკოვიაკს ეცეკვები მაშინ, როდესაც უნდა თქვას მტკიცე სიტყვა კოლექტივის ინტერესების დასაცავად, აი, მაშინ, ბევრი საკითხი, წლობით რომ არ დგება საშველი, უფრო სწრაფად დადაწყდებოდა. ამასაც უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩვენს დემოკრატიის სისტემასთან.

აქ არ მოვყავი ყველა პრობლემის გაშუქება, მაგრამ ხაზგასმით ავღნიშნავ: გარდაქმნას მაშინ მივაღწევთ, როდესაც ადამიანი თავს ქვეყნის ბატონ-პატრონად იგრძნობს, ხოლო იგრძნობს მაშინ, როდესაც ქვეყანაში გაფართოვდება დემოკრატიზაციის პროცესი.

როდესაც დემოკრატიაზე ლაპარაკობ, მაგალითის მოყვანაა საჭირო. ამიტომ გადავალ შემდეგ განყოფილებაზე — ახალ პირობებში ჩვენი პარტიის საქმიანობის ამოცანებზე.

პარტიული ორგანოები უწინარესად სამაგალითონი უნდა იყვნენ დაჩქარების გეზის სწორი გაგებით, მისი რეალიზაციისადმი, გარდაქმნისადმი სწორი დამოკიდებულებით.

მაგრამ თვით პარტიულ ორგანოებშიც კი ხდება კურიოზები. ვამბობთ: გარდაქმნა — ეს არის უკომპრომისობა ნეგატიური მოვლენების მიმართ, ეს არის საჯაროობაო. თითქოს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტებაა. ასეც უნდა იყოს საზოგადოებაში. იგი უნდა იყოს ინფორმირებული, ყველაფერი უნდა იცოდეს და ყველაფრის შესახებ შეგნებულად განსაჯოს.

მაგრამ ნახეთ, რა ხდება, პარტიის კურგანის საოლქო კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე მოხსენება გააკეთა პირველმა მდივანმა ამხანაგმა პლეხანოვმა. კარგი მოხსენება ჰქონდა, შინაარსიანი, მწვავე, კრიტიკული. მაგრამ როცა საოლქო გაზეთში უნდა დაბეჭდათ, ისე, გამარგლეს მოხსენება, ისე გაკრიჭეს, რომ ამის შედეგად ისეთივე გლუვი გახდა, როგორიც ერთი წლის წინ, როგორიც ხუთი წლის წინ იყო. ასეთ სურათს რა სჯობს?!

როგორც ცენტრალურ კომიტეტში მომახსენეს ამხანაგებმა, თურმე ოცდაათზე მეტი ადგილი შეუმცირებიათ, თანაც ამოუგდიათ სწორედ ის ადგილები, სადაც ლაპარაკი იყო მუშაობის ნაკლოვანებებზე, ამა თუ იმ ხარვეზებისა და ბოროტმოქმედების კონკრეტულ დამნაშავეებზე. ჰოდა, გამოდის, რომ კურგანში ყოფილა ორგვარი საჯაროობა: ერთი — ვიწრო წრისათვის, ხოლო მეორე — დანარჩენებისათვის. ასე შორს შეგიძლია წახვიდე: ერთი დისციპლინა — ერთთათვის, მეორე დისციპლინა — მეორეთათვის; ერთი კანონი— ერთთათვის, სხვა კანონები — სხვებისათვის „და ასე შემდეგ. არა! ჩვენში კანონირება ერთია, დისციპლინა ერთია ყველასათვის და სოციალისტური მორალიც ყველასთვის ერთ

ბუნების სიმდიდრენი — ხალხის სამსახურში

საბჭეო მეურნეობის დარგის მუშაკები ფართოდ აღნიშნავენ თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს — ტყის მუშაკის დღეს. წელს ეს დღესასწაული ეწყობა ქვეყნის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების ხორცშესხმისთვის შემოქმედებითი შრომის ვითარებაში.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა მჭიდროდ უკავშირდება ბუნების სიმდიდრეთა სწორ და გონივრულ გამოყენებას, მის მოვლას და დაცვას. ბუნებრივი რესურსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს ტყე წარმოადგენს, რომელსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა ენიჭება.

ცნობილია, რომ ტყის კორომები იცავს ნიადაგს ეროზიისაგან, არეგულირებს კლიმატს, ჰიდრორესურსებს და ამით დიდ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისა და ჰიდროენერგეტიკული, სახრგაციო, კომუნალური და ზოგი სხვა დარგის განვითარებაში.

საქართველოს ტყის ფონდი შეადგენს 3012,0 ათას ჰექტარს, აქედან ტყით დაფარულია 2768 ათასი ჰექტარი, მისი უდიდესი ნაწილი — 97 პროცენტი მთის კალთებზე, მდინარეთა სათავეებში და კურორტების ირგვლივ არის განლაგებული. ტყეების საერთო მარაგი 418,0 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დარგის მუშაკებმა შემოქმედებითი და ენერგიული შრომის კვალობაზე მეთერთმეტე ხუთწლედში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს. ამ პერიოდისათვის ტყის აღდგენით სამუშაოები განხორციელდა 152250 ჰექტარზე (გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით), აქედან ტყის თესვა-დარგვა 32130 ჰექტარზე. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გასაშენებელი ტყის ჯიშთა სტრუქტურა, აგროტექნიკა, მოვლა-პატრონობა, რამაც გაუმჯობესა მცენარეთა გახარებისა და შენარჩუნების მდგომარეობა. მნიშვნელოვნად წაიწია წინ ტყის სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანის საქმემ, რის შედეგადაც არა მარტო ვაკმაყოფილებთ ნერგებზე საკუთარ მოთხოვნილებას, არამედ დიდი რაოდენობით ვაწოდებთ რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებსაც. საჭირო ღონისძიებები ხორციელდება კაკალნაყოფიანთა ნარგავების გაფართოებისა და გასაშენებელი ჯიშების სელექციურ საფუძველზე გაუმჯობესების თვალსაზრისით. კაკლისა და თხილის კულტურა მეთერთმეტე ხუთწლედში 2564 ჰექტარზე გაშენდა.

სატყეო მეურნეობის დარგის მუშაკების მუდმივი ყურადღების ცენტრშია გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შეუშავება და მისი რეალიზაცია. სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება და ფართოვდება თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ტყეები, სადაც 33317 ჰექტარზე შესრულდა ტყის თესვისა და დარგვის სამუშაოები. მშრომელთა მასობრივი დასვენების სამსახურში ჩადგა მრავალი ათეული კეთილმოწყობილი რეკრეაციული უბანი, გაყვანილია საავტომობილო გზები და ბილიკები, მოეწყო რამდენიმე ათასი მცირე არქიტექტურული ფორმები, სპორტული მოედნები, ავტოსადგომები, წყაროები, საჩრდილობლები, გადასახედები და სხვა.

უშუალოდ თბილისის შემოგარენის მეურნეობებში 7105 ჰექტარ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენითი ღონისძიებები. კრწანისის კლდოვანი ფერდობები, გორსახეები, მსხლადიდი, კუმისი, შავნაბადა, ნადიკვარი და სხვა ფართობები შეიმოსა მწვანე სამოსელით. დედაქალაქის მიდამოების გამწვანება-გატყეევება საერთო სახალხო საქმედ იქცა.

ტყეების დაცვა უკანონო ჭრისაგან, ხანძრებისაგან, მავნებლებისა და დაავადებებისაგან რესპუბლიკის ტყის მეურნეობის მუშაკთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის მიჩნეული. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება. საკმარისია ითქვას, რომ ტყის დაცვას 3242 მუშაკი ემსახურება. ხანძრების დროულად გამოვლინებისა და მისი ოპერატიულად ლიკვიდაციისათვის შემოღებულია ავიაპატრულირება, შექმნილია 15 სახანძრო ქიმიური სადგური, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური საშუალებებით, და სხვა. ამ მიმართულებით გატარებულმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი მოიტანა.

სატყეო მეურნეობაში ძირითადი საქმიანობის პარალელურად ფართოდ ვითარდება დამხმარე სოფლის მეურნეობა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიქვს სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანების განხორციელებაში. სატყეო მეურნეობის დარგის მუშაკების გამიზნულ, ორგანიზებულ შრომაზე დიდად არის დამოკიდებული ამ პროგრამის ხორცშესხმა.

დამხმარე სოფლის მეურნეობის განვითარების და პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ქედის, კოლხეთის, წალენჯიხის, დმანისის და სხვა მეურნეობათა კოლექტივებმა.

წარმატებანი მოპოვებულია დარგის შრომითი კოლექტივების დაძაბული შრომისა და მაღალორგანიზებულად მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრების განვითარების შედეგად. აღნიშვნის ღირსია საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში მრავალჯერ გამარჯვებული და საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებული ქედის სატყეო მეურნეობის კოლექტივი. ასევე რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და დარგის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურეს აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, თბილისის, კოლხეთის, გუდაუთის სატყეო მეურნეობებისა და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის კოლექტივებმა, მეორე და მესამე ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ ხაიშის, თელავის, ყასის, ხელვაჩაურის, თეთრი წყაროს, ადიგენის და საჩხერის სატყეო მეურნეობათა კოლექტივები, დარგის საპატიო სგელით დაჯილდოვდნენ მახარაძის, ჩოხატაურის, ბოლნისის, დმანისის სატყეო მეურნეობებისა და სართიჭალის და ხობის სახელმწიფო სატყეო სანერგე მეურნეობათა კოლექტივები.

მომავალში უფრო ფართო ჰორიზონტები გადაიშლება რესპუბლიკის ტყის მუშაკების წინაშე. მეთორმეტე ხუთწლედში ტყის აღდგენითი სამუშაოები შესრულდება 152200 ჰექტარზე, თესვა-დარგვა — 32 ათას ჰექტარზე და მის გახარებას მივაღწევთ 80 პროცენტამდე, გამოყვანილი იქნება 300,0 მილიონი სტანდარტული სარგავი მასალა, ტყის რეკონსტრუქციის სამუშაოები შესრულდება 24200 ჰექტარზე, გაუმჯობესდება ტყის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი. გაძლიერდება ტყის დაცვა ხანძრებისაგან და უნებართო ჭრისაგან, ტყის მოვლითი და სანიტარიული ჭრა, დამზადდება 2250,0 ათასი კბმ ლიკვიდური მერქანი. წარმოებული და რეალიზებული იქნება 164,0 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მათ შორის 25,8 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. სატყეო-სამეურნეო გზები აშენდება 1500 კილომეტრზე, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულებას შევამცირებთ 2,5 პროცენტით. დამხმარე სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებული იქნება: ხორცი — 7953 ტონა, თაფლი — 70 ტონა, საფურაქე მარცვალი — 6300 ტონა, ხილი — 420 ტონა, ბოჩეული — 1861 ტონა. დამზადდება 250 ტონა ასკილი და სხვა.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მშრომელები, რომლებიც შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს, კვლავაც აღდზოგაენენ ძალ-ონონს და ენერგიას სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

შ. ჯალაგანიძე,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი.

ეროვნული კომუნისტების ბიბლიოთეკა
ფოტოკონკურსი

ზეცას ერთვოდეს შენი სუნთქვა, შენი ფრიალი..
ზ. დათუაშვილის ფოტო.

ექსპრეს-ინფორმაცია

დანიშვნა

გიორგი პლატონის ძე ლიპარტელიანი დანიშნა საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის საწარმოს უფროსად. მას სატყეო მეურნეობაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, საქმიანობის პირველი პერიოდი ეძღვნება სამეცნიერო, ხოლო მეორე მეცნიერულთან ერთად პრაქტიკულ-სამეურნეო მუშაობას.

მეტყევე ინჟინრის კვალიფიკაციით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში (ამჟამად გულისაშვილის სახელობისა) უფროსი ინჟინრის, ხოლო შემდგომ უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1968 წელს იცავს დისერტაციას და ენიჭება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

1969 წლიდან პრაქტიკულ-სამეურნეო სამუშაოზეა. ჯერ ინიშნება ხაშურის, შემდგომ დუშეთის სატყეო მეურნეობების დირექტორად. 1979 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს თბილისის დენდროლოგიურ პარკს, მიმდინარე წლის 18 ივლისიდან კი საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს წარდგინებით დაინიშნა საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის საწარმოს უფროსად.

ამხ. გ. ლიპარტელიანს მივმართეთ კითხვით:

— თქვენი თეორიულ-სამეცნიერო მომზადება და პრაქტიკული გამოცდილება იმის საფუძველს იძლევა, რომ წარმატებით გაუძღვებით ახალ, პასუხსაგებ სამუშაოს. გვაინტერესებს, რა პრობლემები გესახებათ ამ გზაზე?

— ახალი სამუშაო რთული და მეტად პასუხსაგები, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ობიექტები დიდ ტერიტორიაზეა „გაფანტული“. ვმუშაობთ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიისა და რუსეთის ტყეებში. ჩვენ შემსრულებელი ორგანიზაცია ვართ, დამკვეთები არიან საკავშირო და რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროები.

გვეკალება ტყეთმოწყობის ყველა ღონისძიება. ამისათვის საჭიროა ველზე მასალების სწორად მოპოვება, რასაც ძირითადად ტრაქტორი სსრულებს, ტყეკულტურათა ფონდის დაცვა, ჭრების დანიშვნა, სამკურნალო მცენარეების მოპოვება, მავნებლების გამოკვლევა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დასახვა. ველად მოპოვებული მასალები ჩვენთან მუშავდება და ადგილებზე განსახორციელებელ სათანადო ღონისძიებებს შევიმუშავებთ, მაგრამ მასალების დამუშავება ხდება ხელით, ეს დიდ დროსაც გვართმევს და, რაც მთავარია, უხარისხოც გამოდის.

წარმოების ინტენსიფიკაციისათვის სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ჩაყენება სამეურნეო სამსახურში. ამ ამოცანის განსახორციელებლად ჩვენ საწარმოში აუცილებელია ელექტროგამომთვლელი მანქანების დანერგვა. საკავშირო გაერთიანების „ტყეპროექტის“ წინაშე დავსვით ეს საკითხი. თანხმობაც მივიღეთ და მალე საქმე მოგვარდება, პრობლემები სხვაც ბევრი გვაქვს.

— უწინარესად, ყურადღებას მივაქცევთ მაღალხარისხოვანი სანერგმძღვანელო პროექტების გამოშვებას, ამისათვის აუცილებელია მეტყევე-ტექსტორთა საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და ტყეთმოწყობის საწარმოს მჭიდრო კონტაქტსა და შეთანხმებულ საქმიანობას. ვეცდებით შევქმნათ ამისთვის საჭირო პირობები.

20 სექტემბერი ● საქართველო

ეროვნული

ფაქტები • მოვლენები

შეხვედრები ვაშინგტონში

ვაშინგტონი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, რომელიც აქ წინასწარი შეთანხმებით ჩამოვიდა, თეთრ სახლში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს. ე. ა. შევარდნაძემ პრეზიდენტს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პირადი წერილი.

ამერიკის მხარეს განუმარტეს საბჭოთა თვალსაზრისი მტკიცე მშვიდობისა და ყოვლისმომცველი უშიშროების მისაღწევად კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების, შეიარაღების. უწინარესად ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების, მისი სრული მოსპობის, სამხედრო პირისპირდგომის დონეთა საერთო შემცირების გზით.

სტოკჰოლმის კონფერენციაზე

სტოკჰოლმი. ევროპაში ნდობის, უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენციაზე მთავრდება საბოლოო დოკუმენტის შემუშავება. წინასწარი წესით მიღებულია ამ დოკუმენტის მეტი წილი დებულებები, რომლებიც შეეხება ძალის გამოუყენებლობას, გასაცნობად დასაშვები სამხედრო საქმიანობისა და შემზღუდავი ღონისძიებების ყოველწლიური გეგმების გაცვლას. გადაწყდა აგრეთვე „გაჩერონ საათი“, ესე იგი განაგრძონ ფორუმის მუშაობა, რათა შეათანხმონ ჯერ კიდევ დარჩენილი ზოგიერთი საკითხი.

◆ იტალია-აშშ

დაჯყვნენ ვაშინგტონის ნებას

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას რიგანისეულ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაში იტალიის კომპანიების მონაწილეობის თაობაზე.

პენტაგონის განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ შეთანხმებამ, რომლის შინაარსი დასაიდუმლოებულია, „ყოველისმომცველი საფუძველი უნდა შეუქმნას იტალიის მრეწველობის, სამეცნიერო დაწესებულებების და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობას კვლევაში სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის შესაბამისად“.

აღრიგად, იტალია მეხუთე ქვეყანა გახდა, რომელიც ვაშინგტონმა „ვარსკვლავეთის ომების“ მილიტარისტულ პროგრამაში ჩააბა. წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებას ხელი მოაწერეს ისრაელმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და ინგლისმა, გარდა ამისა, იაპონიამ გამოაცხადა, რომ ნებას რთავს თავის კომპანიებსა და კერძო ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნულ პროგრამაში.

მოკლედ

◆ **ზხენინანი.** როგორც სეულიდან იუწყებიან, იქ ჩავიდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი ი. ნაკასონე. ვიზიტის ოფიციალური მიზანია აზიის მეათე ასპარეზობათა გახსნის ცერემონიაზე დასწრება.

◆ **ტოკიო.** იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად მიმართა პრეტორიას გაუქმოს ტოკიოში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ეროვნული განათლების (თეთრკანიანთა) მინისტრის ფრედრიკ დე კლარკის ვიზიტი.

საფრანგეთის დედაქალაქს აფეთქებები აზანზარებს. 9-დან 17 სექტემბრამდე პარიზის სხვადასხვა ადგილას აფეთქდა ხუთი ბომბი, რამდენიმე კაცი დაიღუპა, ათობით — მძიმედ დაიჭრა. უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვა უცნობი ტერორისტების ნამოქმედარია. ეს მუხანათური დანაშაული ყველა პატიოსანი ადამიანის აღფოთებას იწვევს. და მაინც, ტერორისტული აქტები გრძელდება, ამიტომ ისმის კითხვა: ვის აძლევს ეს ხელს?

ვის აძლევს ეს ხელს?

ამ კითხვაზე პასუხს თავად ცხოვრება იძლევა. ტერორიზმს; მთელი თავისი ამაზრზენი მრავალფეროვნებით თავიანთი მიზნებისათვის მუდამ იყენებენ რეაქციული ძალები, სურთ რა იგი გაუიგივონ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. კარგად არის ცნობილი ისიც, რომ შეერთებულ შტატებსა და ისრაელს არაერთგზის გამოუყენებიათ მარტოხელა ფანატიკოსების ტერორისტული აქტები იმ ხალხებთან ანგარიშსწორების საბაბად, რომლებიც იბრძვიან თავიანთი განთავისუფლებისათვის ან იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას.

ტერორიზმით ცდილობენ ხელის მოთბობას ანტიკომუნისტებიც, ყველა ჯურის ანტისაბჭოელებიც, რომლებიც ავრცელებენ მონაჟორებს, თითქოს ტერორისტული აქტების ორგანიზატორები იყვნენ „რკინისფარდისიმელი“ ვინმე „მარქსისტები“. ამჯერადაც ასეა საფრანგეთში. პარიზში მოქმედარ აფეთქებებს ულტრარეაქციული ძალები ღვარძლიანი ანტისაბჭოური კამპანიის გასაჩაღებლად იყენებენ. მას ტონს აძლევს „ეროვნული ფრონტი“ — ანტიკომუნისტური შეხედულებებით ცნობილი უაღრესად მემარჯვენე დაჯგუფება, რომლის წარმომადგენლები ახლა საფრანგეთის პარლამენტში სხედან. ამ „პარლამენტარებმა“ გამოთქვეს საზარელი მტკიცებანი, თითქოს „ტერორისტებს მართავს მოსკოვის ხელი“ და ამიტომ უნდა იღვაწონ „საფრანგეთიდან საბჭოთა დიპლომატების გაძევებისთვის“.

ამგვარი ბოროტი განზრახვებით შეთხზული ჭორების არსი აშკარაა. მათ ავრცელებენ იმისათვის, რომ ჩირქი მოსცხონ სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ანტიკომუნისტური ისტერიის დახმარებით გააქარწყლონ ფართო სიმპათია სოციალიზმის სამყაროსადმი, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სამშვიდობო ინიციატივებისადმი. ამავე დროს საფრანგეთის რეაქცია აფეთქებებს იყენებს იმისათვის, რომ ქვეყნის შიგნით გააჩაღოს რასისტული კამპანია, გააძლიეროს პოლიციური რეპრესიები, შეზღუდოს მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები. ამით ცდილობენ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ იმ მიზეზებს, რომლებიც კვებავენ ტერორიზმს, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის აგრესიულ პოლიტიკას.

საფრანგეთის პროგრესული ძალები, უწინარეს ყოვლისა კომუნისტები, გადაჭრით გმობენ ტერორისტების სისხლიან პროვოკაციებს და მტკიცედ იგერიებენ რეაქციის ძალებს.

ფოტოინფორმაცია

22 ოქტომბერს სრულდება დიდი უნგრელი კომპოზიტორის, პიანისტისა და დირიჟორის ფერენც ლისტის დაბადების 175 წლისთავი.



გდრ. ქალაქ ვაიმარში, სადაც 1849-1861 წლებში ფერენც ლისტს კარის კაპელმეისტერის პოსტი ეკავა, არის უნგრული კომპოზიტორის სახლ-მუზეუმი.
სურათებზე: პარკის განაპირას მდებარე შენობა, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა კომპოზიტორი; ლისტის ბიუსტი ოთახში, სადაც იგი მუშაობდა და ისვენებდა.
აღნ-საკდესის ფოტო.

● მოზამბიკი

პრეტორიის პროვოკაციები

მაპუტუ. პრეტორიის რეჟიმი კვლავ არღვევს „ნკომატის ხელშეკრულებას“ და ძირგამომთხრელ მოქმედებას ეწევა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაცხადა მოზამბიკის დედაქალაქში ქვეყნის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელმა. მან თქვა, რომ 12 სექტემბერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ვერტმფრინავი შეეჭრა მოზამბიკის საჰაერო სივრცეში რესანო გარსიას რაიონში და გადმოსხა დესანტი. წინათ ზამბეზის პროვინციაში შემოგზავნეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების „ბუფალოდ“ წოდებული 32-ე ბატალიონის კომანდოსების ჯგუფი. ნამიბიაში დისლოცირებული ეს ქვეგანაყოფი მონაწილეობდა აგრეთვე ანგოლის ტერიტორიაზე ტერორისტულ აქციებში.

„დინამოს“ კორტებზე

თბილისი. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ჩოგბურთის მოედნებზე მეხუთე დღეა გრძელდება IV ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში.

გოგონათა შორის ერთეულების თანრიგში გამოვლინდნენ ნახევარფინალური მატჩების მონაწილენი. პოლონელი ჩოგბურთელი კ. ნოვაკი ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენს ს. პოდლახოვას ეთამაშება. პოლონელმა გოგონამ მეოთხედფინალში ანგარიშით 6:2, 6:1 მოუგო მოსკოველ ა. მირზას, ხოლო ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა დაამარცხა ნ. მედვედევა (კიევი). მეორე ნახევარფინალურ მატჩში მინსკელი ე. შინკარენკო პოლონელ მ. მრუზის შეხვდება. ამ უკანასკნელმა მოუგო თბილისელ ე. ბოკუჩავას — 7:5, 6:2. ქართველი სპორტსმენი მხოლოდ მეხუთე ადგილისათვის იბრძოლებს, სადაც მისი მეტოქეა ე. შიშკანი.

გამოვლინდნენ ვაჟთა პირადი პირველობის ფინალური მატჩის მონაწილენიც. უკრაინელმა ჩოგბურთელმა ი. კროშკომ ანგარიშით 2:1 მოუგო თბილისელ დ. კაპარაკის, ხოლო კიეველმა დ. პოლიაკოვმა ნახევარფინალში დაამარცხა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ვ. გაბრიჩიძე — 6:2, 6:3. ქართველი სპორტსმენები ერთმანეთს მხოლოდ ბრინჯაოს მედლისათვის შეხვდებიან. გრძელდება წინასწარი შეხვედრები გოგონათა და ჭაბუკთა წყვილების თანრიგში.

შ. ქირია.

საბურნირო ორბიტა

კალათბურთი. ვაჟთა 54-ე საკავშირო ჩემპიონატზე გაიმართა ორიგი ტურის მატჩები. **ლენინგრადში** კიევის ასკსა და დონეცკის „შახტიორის“ შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით ანგარიშით — 90:79. **მინსკში** ცსკამ ანგარიშით 95:71 დაამარცხა კიევის „სტროიტელი“, ხოლო მინსკის რტისა და ალმა-ათის ასკს შეხვედრა დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით — 97:72.

ფეხბურთი. 19 სექტემბერს გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ლანჩხუთის „გურია“ მოსკოვში შეხვდა თავის უახლოეს კონკურენტს ცსკა-ს. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 4:0, ბათუმის „დინამომ“ უმასპინძლა მოსკოვის „ლოკომოტივს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ამ ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ხაბაროვსკის ასკ-„ატლანტასი“ — 5:0, „ისკრა“-„უუბანი“. — 1:0, „შინაკი“-დონის როსტოვის ასკ — 0:1, „კოტაიკი“-„ფაკელი“ — 2:0, „როტორი“-„სპარტაკი“ — 2:0 „როსტელმაში“-„ნისტრუ“ — 7:0, სტავროპოლის „დინამო“-ასკ „კარპატი“ — 0:2, „კოლოსი“-„პამირი“ — 2:0, „მეტალურგი“-„ფახთაკორი“ — 2:0.

ძიუდო. მოსკოვში საკავშირო პირველობის მეორე დღეს 78 კგ წონითს კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გრიხნოელმა ბაშირ ვარაევმა. გადამწყვეტი ბრძოლა მან მოუგო თბილისელ შოთა ხაბარელს, რომელიც ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ მოსკოველ ვიტალი ბუდიოკინს და კურსკელ ანდრეი ეორობიოვს. 86 კილოგრამიან წონითს კატეგორიაში გაიმარჯვა ევროპის ექსჩემპიონმა მინსკელმა ვიტალი პესნიაკმა, ვერცხლის მედალი მოიპოვა შარშანდელმა ჩემპიონმა კუსკელმა ალექსანდრე სიკევემ. მეჯსმე ადგილები მოიპოვეს გორელმა ჯემალ მჭედლაშვილმა და რიგელმა ვადიმ ვოინოვმა.

ფრენბურთი. შვეიცარიის ქ. ლოზანაში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჯ. ა. სამარანჩის პრიზზე. ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა პერუს ნაკრებმა, სსრ კავშირის ნაკრები მეორე ადგილზე გამოვიდა.

ფაქტი და კომენტარი

მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი

ერთადერთი სვლების სერიით

ესპანურ პარტიებში ზედიზედ ორი ქულის მოპოვების შემდეგ კასპაროვმა უთუოდ მიიჩნია, რომ მეტოქე საგანგებოდ მოემზადებოდა და აქერად ღია დასაწყისი აღარ აურჩევია. მან შეხვედრა ლაზიერისწინა პაიკით დაიწყო. წარმოიქმნა ახალინდური დაცვისათვის დამახასიათებელი პოზიცია. ინიციატივას კასპაროვი დაეუფლა, მაგრამ ექსჩემპიონი ზუსტად იცავდა თავს. შუა თამაშში კასპაროვს მდგომარეობის ორგზის გაიერების შემდეგ შეეძლო პარტია ყაიმით დაემთავრებინა, მაგრამ მოგებისათვის ბრძოლა გადაწყვიტა. ძლიერ ორმხრივ ცაინტოტში პოზიცია მეტად დაძაბული იყო, კარპოვი ერთადერთი სვლების სერიით შეძლო წონასწორობის შენარჩუნება. დროის მწვავე ნაკლებობის პირობებში მსოფლიო ჩემპიონმა მიმმხილველების საერთო აზრით ზედმეტად ოპტიმისტურად შეაფასა საკუთარი შესაძლებლობა და ეტლით შეიჭრა შავების განლაგებაში. გაიცვალა ლაზიერები, მაგრამ სიმძაფრე არ დამცხრალა. ახლა უკვე ინიციატივა კარპოვის მხარეზე აღმოჩნდა, რადგან მეფის ფრთაზე თეთრ ეტლს საფრთხე დაემუქრა.

პარტია 41-ე სვლაზე გადაიდო რთულ და ბუნდოვან პოზიციაში, სადაც ყველაფერი კონკრეტულ ანალიზზეა დამოკიდებული.

მეთვრამეტე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 ᲐF6 2. c4 e6 3. ᲐF3 b6 4. ᲐC3 ᲒB4 5. ᲒG5 ᲒB7 6. e3 h6 7. ᲒH4 ᲒC3+ 8. bc d6 9. ᲐD2 g5 10. ᲒG3 ᲔE7 11. a4 a5 12. h4 ᲒG8 13. hg hg 14. ᲔB3 ᲐA6 15. ᲒB1 ᲐF8 16. ᲔD1 ᲒC6 17. ᲒH2 ᲐG7 18. c5 bc 19. ᲒB5 ᲐB8 20. dc d5 21. ᲒE5 ᲐF8 22. ᲒH6 ᲐE8 23. ᲔH5 f6 24. ᲒH7 ᲐG7 25. ᲔF3 ᲐF7 26. ᲔH5+ ᲐF8 27. ᲔF3 ᲐF7 28. ᲒH6 ᲐE8 29. e4 g4 30. ᲔF4 ᲒB5 31. ᲒB5 ᲐD7 32. ᲒC7 ᲐC5 33. ᲔE3 ᲐE4 34. ᲐE4 de 35. ᲒA5 f5 36. ᲒB4 ᲔD7 37. ᲔD4 ᲒA7 38. ᲒH7+ ᲐG7 39. a5 ᲐG6 40. ᲔC4 ᲒD7. ᲔD7.

ასეთ პოზიციაში 41-ე სვლა მსოფლიო ჩემპიონმა ჩაიწერა.

გ. გამრეკელი.

თამაშობენ პრეტენდენტები

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ა. იუსუპოვისა და ა. სოკოლოვის მატჩის მერვე პარტია სულ სამ საათს გგრძელდა. მას შემდეგ, რაც თეთრებით მოთამაშე იუსუპოვის ინიციატივა ამოიწურა, მეტოქეებმა აღარ მოინდომეს ბრძოლის ახალი გამწვავება და 38-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 4,5:3,5 იუსუპოვის სასარგებლოდ.

ფეხბურთის ფედერაციის თასზე

დღეს იწყება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის პირველი გათამაშება, რომელშიც უმაღლესი ლიგის 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. გუნდები ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი, რომელთა შორის გამარჯვებულნი წილისყრის შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალში და შემდეგ ფინალურ მატჩში. **პირველ ჯგუფში ითამაშებენ:** „არარატი“, თბილისის „დინამო“, „ნეფთჩი“ და ქუთაისის „ტორპედო“. **მეორე ჯგუფში:** მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“, მოსკოვის „ტორპედო“ და „ყაზანი“. **მესამე ჯგუფში** — კიევის „დინამო“, „დნეპრი“, „ჩერნომორეცი“ და „შახტიორი“. **მეოთხე ჯგუფში:** მინსკის „დინამო“, „ვალგირისი“, „ზენიტი“ და „მეტალისტი“. ჯგუფებში შეჯიბრება ერთ წრედ გაიმართება.

ახლა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში შესვენებაა, იგი განახლდება 4 ოქტომბერს. ფეხბურთის ფედერაციის აზრით, ეს ტურნირი ხელს შეუწყობს იმ გუნდების ფეხბურთელებს, რომლებიც არ მონაწილეობენ ევროპულ ტურნირებში და მიწვეული არ არიან ნაკრებში, რომ შესვენების ამ პერიოდში არ ამოვარდნენ სპორტული ფორმიდან.

სასპორტაკიადო მერიდიანზე

წარმატებით გამოდიან სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ტაშკენტში საქართველოს მძლეოსნები. ბირთვის მკრეტელთა შეჯიბრებაში კარგად იასპარეზა სოხუმელმა ტარიელ ბიწაძემ, რომელმაც ფინალურ შეჯიბრებაში ყველაზე უკეთესი შედეგი—19,84 მ აჩვენა და სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა; ამ სახეობაში მეორე ადგილზე გავიდა მოსკოველი ვლადიმერ იარიშკინი, მესამეზე—უკრაინელი მიხეილ კულიში. ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ვახტანგ მინაშვილი, მისი შედეგია 8 მეტრი და 2 სანტიმეტრი. ამ სახეობაში სპარტაკიადის

წესრიგი და სისუფთავე კულტურის არსი და ძარღვია

— ეროვნულ-ეთნიკა კვალდაკვალ —

„ამ გვერდს საკვირაო საკითხავს ვერ დავარქმევთ — ძალზე გულსატკივნი ამბავია მოთხრობილი, იმდენად საჩოთირო და საკვალალო, რომ დასვენების დღესაც კი მკითხველის გუნება-განწყობილების წახდომას არ მოვერიდეთ. ერთ გვერდზე ათზე მეტ ფოტოსურათს ვთავსებთ (ასათი კიდევ პორტფელში გვიდევს) და ყველაზე აღბეჭდილია ნაგავი და სიბინძურე. დიდ ბოდიშს ვუხდით მკითხველს დასვენების ნამწარებისათვის, გუნებისა და მადის წახდენისათვის, იმისათვის, რომ აღმაშფოთებელი, სვედიანი ფიქრები ავუშალეთ. უნეველია, მაგრამ აუცილებელი, გვერდაუვლები. ხომ არ შეიძლება მოსვენება, ვთქვათ, გაკონილ და გამურულ ქვეშაგებში. წინაპრების გადმოცვლიდანაც ვიცით: რევოლუციამდელ ლტბა და მშიერ მშრომელ კაცს ჩვენში დაკერებული ზეწარიც კი სუფთა და გარეცხილი ჰქონდა. ხომ არ შეიძლება ვთქვათ, დასვენების დღეს კაცმა პირი სანაბევროდ დაიბანო, ქალი კი გარეთ თმადაუვარცხნელი გამოხვიდე.

დიახ, დიდ ბოდიშს გიხდით, მკითხველო, თქვენი დასვენების დღის განრღვევისათვის. ოჯახში საკვირაო ნუშის ტორტი გიდევთ, ჩვენ კი გაიძულებთ იგი გადადოთ და შავ პურზე ვისაუბროთ. გაიძულებთ, რადგან ჩვენ ყველას ჯერ პური გვინდა, პური არსობისა — უბრალო, უპრეტენზიო წესრიგი. თქვენს საკვირაოდ დაწკრიალებულ ბინაში თანამედროვე კოსმეტიკური კეთილსურნელოვნება სუფევს, ჩვენ კი ანანგადზე საუბარს გთავაზობთ, რადგან ჩვენ ყველას ჯერ ანანგადი გვჭირდება, ანანგადი არსობისა — უბრალო, უპრეტენზიო სისუფთავე.

წესრიგი და სისუფთავე — არა უმაღლესი, არამედ ჩვეულებრივი, ადამიანური კულტურის არსი და ძარღვია.

რამდენს ვწერთ, რამდენს ვმსჯელობთ და ჯერჯერობით — თითქმის ამაოდ.

სულ ახლახან იმისათვის, რომ წესრიგი და სისუფთავე ვერ უზრუნველყვეს, პარტიიდან გაიერიცხა და თანამდებობიდან მოახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე სანიტარია-ეპიდემიოლოგიის დარგში თ. ჭყონია; განთავისუფლდა და რიგით სამუშაოზე გამწესდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. შუღაროვი, დასასჯა ბევრი სხვა.

ისინი ახალმა კადრებმა შეცვალეს, მაგრამ არსებითად არ შეცვლილა სიტუაცია.

რატომ, რა გვჭირს, მართლა ასე უსაშველოა — დედაქალაქით დავიწყოთ — თბილისში წესრიგისა და სისუფთავის დაცვა?

ამ კითხვებზე ამომწურავი თუ არა, ნაწილობრივ მაინც დამაჯერებელი პასუხების გასაცემად, თბილისში სანიტარული მდგომარეობის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის კვირის თავზე, გასულ პარასკევს უთანია გაზეთ „კომუნისტის“ ორმოცამდე ეურნალისტი და ფოტოკორესპონდენტი ქალაქის ყველა რაიონში გავიდა. ამ რეიდის შედეგებს ვაქვეყნებთ დღეს. ძალიან მოწადინებული ვიყავით უწესრიგოებისა და უსუფთაობის მთავარ მიზეზსა და მთავარ დამნაშავეს ჩვენ თვითონ მივდგომოდით, რაც ვიცოდით, საკუთარი თვალით გვენახა.

რაც ვნახეთ, აქ ზედმიწევნით ზუსტად, შეულამაზებლად აღვწერეთ, პროფესიული ოსტატობის გამოსავლენად, ეურნალისტური მიგნებების საძიებლად არავის ეცალა და, მართალი გითხრათ, არც არავის დაბადებია ამის სურვილი.

სურათი კვლავ მძიმეა. ამაში ქვემოთ დარწმუნდებით.

მიზეზები და დამნაშავენი ბევრს ბევრია. მიზეზებია ობიექტური და სუბიექტური, „ტრადიციული“ და ახლად წარმოშობილი, სერიოზული და უაზრო, უსაფუძვლო.

ბრალი მიუძღვის ყველას — პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, ცხადია, აწევს ქალაქის მერს, მიუტევებელია თვით თბილისელების, მოსახლეობის ერთი ნაწილის ცოდვა.

მაგრამ, როცა რეიდიდან დავბრუნდით და ცხარედ ვიმსჯელეთ, ნანახი გავიაზრეთ და ავწონ-დავწონეთ, ეურნალისტების ათი ბრიგადის (ყოველ რაიონში — თითო) ერთსულოვანი დასკვნით ყოველივე ეს, უწინარესად სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ათი თავმჯდომარის ბრალია.

ამ ღია და მწყრალი წერილით სწორედ მათ მივმართავთ.

ღია წერილი

ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს ამხანაგებს

გორის სიჭინავას, თამაზ კაპანაძეს, ავთანდილ კანდელაკს, გივი ბაკურაძეს, მერაბ ავალიანს, აკაკი გონგლაძეს, ტახირ არველაძეს, ვახტანგ კიკნაძეს და დავით ჯაფარიძეს.

(სამოგავლო გაკვეთილად აგრეთვე — ლენინის რაიასგბოს აღმასკომის მოგავალ თავმჯდომარეს, რომლის თანამდებობაც ამჟამად ვაკანტურია).

მაშ ასე, ჯერ

საერთო სურათი ანუ დედაქალაქი პირს იბანს სამუშაო დროს

რეიდის დღეს მოგვეჩვენა, რომ ქალაქის ქუჩებში იმ დილით იმაზე გაცილებით მეტი ნაგავის მანქანა და დამგეელი მუშაობდა, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს (სასიამოვნო გაოცება ამის გამო მთელი რიგი ქუჩების მცხოვრებლებმაც გამოთქვეს). თუ ეს ამ ბოლო ხანებში დედაქალაქის სანიტარული სამსახურის გამოცოცხლების ნიშანი, უკეთ მუშაობის სურვილი და უფრო შესამჩნევად ხელის გამოღების ცდა იყო და, ბოლოს, სულო ცოდვილო, თუ ეს რეიდის საპასუხოდ დამატებითი ძალისხმევა და ე. წ. შემხვედრი ღონისძიება იყო, მაინც კარგია. ოღონდ, ეგ არის, თუ ამგვარ პირობებშიც ნაკლი, ხარვეზი, უხამობა თვალს გეჭრის, ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ძალზე შორს ვართ სასურველი ყოფისაგან, რომ ჯერ კიდევ ბევრი მეცადინეობა გვმართებს სასიკეთოდ საერთო სურათის შესაცვლელად.

კალინინის და ორჯონიკიძის რაიონების ცენტრალური ქუჩები რეიდის დროს ძირითადად მოვლილი, დაგვილ-დასუფთავებული და მორწყულიც კი იყო, თუმცა ეს მხოლოდ ფასადია. ფასადი მთლიანად დედაქალაქისა. მაგრამ აქაც შეიმჩნეოდა აქა-იქ ხეების ძირთან მიყრილი ნაგავი, განსაკუთრებით — სამშენებლო.

საერთოდ კი პირდაპირ უნდა ითქვას, ქალაქის სისუფთავისათვის ზრუნვაში მეტ-ნაკლებად ათივე რაიონი სცოდავს. დილის 9-10 საათზე ჰავეავაძის, წერეთლისა და მოსკოვის გამზირებზე, ლენინის, მელიქიშვილის, გურამიშვილის, ტიციან ტაბიძის, მგალობლიშვილის, კლარა ცეტკინის, კალინინის, ჩელუსკინელების, ელიავას, ხეთაგუროვის, ხრამჰესის, გორგასლის, შაუმიანის, მეველეს და სხვა ქუჩებზე, ყველა მასივში ნაგავი გასატანი იყო, თანაც არ იგრძნობოდა არავითარი ნიშანწყალი, რომ საერთოდ იმ დღით ამ ნაგავს გატანა ეწერა. თქვენ რა იცითო, გკითხავენ. დახედეთ ფოტოებს და დარწმუნდებით, ეს ერთი და ორი დღის ნაგავი არ გახლავთ. თემქის დასახლების მეორე მიკრორაიონის მესამე კვარტალის ტერიტორია მთლიანად არის ჩახრენგილი და ამას დღეები კი არა, თვეები დასჭირდებოდა. (ფოტო 1). ხვედებით, ალბათ, რას მიაფარეს ეს სიგანით თითქმის ორმეტრიანი სიმაკრები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მიმდებარე ტერიტორიაზე ელიავას ქუჩიდან? მარტო სამშენებლო არ გეგონოთ, ხრწნის სუნი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნაგვის დაგროვებისაგან არის (ფოტო 2). წერეთლის პროსპექტის მეხუთე კორპუსის უკან კი კატები წინა დღეებში დაყრილს აღარ ეკარებიან, ელოდებიან ახალს (ფოტო 3).

კლარა ცეტკინის ქუჩის ერთ მხარეს ოქტომბრის რაიონი ემსახურება, მეორეს — პირველი მაისს. ნაგვის მანქანას, მოგეხსენებათ, საერთოდ ყველას ერთნაირი ზარი აქვს. ამიტომ ქუჩის კენტი და ლუწი ნომრების მობინადრენი, ბუნებრივია, ვერ არჩევენ კონკრეტულ შემთხვევაში რომელმა რაიონმა გაბედნიერა ისინი თავისი ვიზიტით. ნაგვის მანქანის მძღოლები კი, ეტყობა, მაინცდამაინც კოლეგიალობის გრძნობით არ გამოირჩევიან და ცოცხალი თავით მეზობელი რაიონის თანამოსაქმეთა მოვალეობას არ კისრულობენ. და არის გაუთავებელი დავა და წყვეტა მათსა და ქუჩის მცხოვრებთ შორის. „განსხვავებული ზარები მაინც შეიძინეთ!“ — შესთხოვენ მცხოვრებნი მძღოლებს, ერთ მათგანს იქედნური ღიმილით უპასუხია „სხვადასხვაგვარი ყღერადობის ზარის პრობლემაზე დარჩა მოუგვარებელი ამ საქმეშიო“.

მართლაც რომ...

თემქის III მიკრორაიონის მეხუთე კვარტალში მეცხრე კორპუსთან ყველანაირი სახის ნაგვით ამოვსებული ეკალბარდიანი! ხევი ანტისანტარიის ნამდვილი ბუდეა. ამისთანა ცხელ ზაფხულში ეროვნული ეკონომიკა ... ეროვნული ეკონომიკა











საერთო სურათის ერთი პარადოქსული მსხვილი პლანი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ანტისანტარია უფრო მკვეთრად იქ არის ფესვგადგმული, სადაც ყველაზე მეტად უნდა ებრძოდნენ მას: საავადმყოფოებთან, პოლიკლინიკებთან, სკოლებთან, სბავშვო ბაღებთან, საზოგადოებრივი კვების ობიექტებთან. მაგალითად, მეშვიდე პოლიკლინიკასთან სიბინძურის ნამდვილი კერაა. გარდა იმისა, რომ მის წინ ხევი ნაგვით არის სავსე, შენობის გვერდით ადგილი დატბორილი. როგორც პოლიკლინიკის მუშაკები ამბობენ, ეს აშმორებული წუმპე ხუთი-ექვსი წელი ასეა დაგუბებული, გამკეთხვილი კი არავინ ჩანს (ფოტო 5). ვის არ მიგმართეთ ამის თაობაზე, მაგრამ ვერა შევიტყვეთ რაო. ვერც № 5 ბავშვთა საავადმყოფო დაიკვეხნის სისუფთავეს, აყროლებულ ბუნკერებში ძაღლები და კატები ერთად იქექებოდნენ, ეზოში კი დედები „სუფთა ჰაერზე“ ავადმყოფ ბავშვებს ასეირნებდნენ... რესპუბლიკური საავადმყოფოს გვერდით, ამბროლაურის ქუჩის № 166 სახლის ეზოშიც (ფოტო 4) და საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჭიშკართანაც (ლენინის ქუჩაზე) საკმაოდ უხვად დაეზენთათ ნაგავი.

159-ე საშუალო სკოლის წინ დადგმული ურნა ნაგავს ვერ იტევდა, 123-ე საშუალო სკოლის გვერდით ეზო კი სანაგვედ გადაუქცევიათ, იმის ნაცვლად, რომ გასუფთაონ და სპორტული მოედნები მოაწყონ. კაფე „გვირილას“ წინ ტროტუარზე ნაგვით სავსე ცელოფანის პარკები ეყარა, მეველეს ქუჩაზეც სასაფლაოსთან, მოსკოვის გამზირზე რემონტში მყოფი საფრინველე მაღაზიის გვერდით ნაგვის დიდი ბორცვებია.

ერთ მცხოვრებს ტროტუარი დადაუკეტავს და თავისი ეზოს შესასვლელ კიბესთან კარადად გადაკეთებული მაცივარი და სხვადასხვა ხარახურა დაუყრია, ორმელიც მეტისმეტად უსიამოვნო შესახედია. ამ დროს აქვე გვერდით სამი ავტორიტეტული დაწესებულებაა: მე-19 პოლიკლინიკა, სარაიონთაშორისო შრომითი საექსპერტო კომისია და სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვის კომისია, რომლებიც ყოველივე ამას ძალზე გულგრილად უყურებენ.

ამავე პროსპექტზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ფირნიში მკაცრად აფრთხილებს მოსახლეობას, რომ აქ „საოჯახო და სამშენებლო ნაგვის დაყრა აკრძალულია“. ხალხს ეს შინაარსი საწინააღმდეგოდ გაუგია და რა არ დაუყრია ამ რამდენიმე ჰექტარ ფართობზე — სამშენებლო ნარჩენები, ჯართი, ძველი საოჯახო ნივთები, ნასხები ტოტები, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნაგავი...

სიბინძურით არც ერთ კერას არ ჩამოუვარდებოდა ცენტრალური სტატსამმართველოს სასწავლო კომბინატსა და კინოთეატრ „სახალრულის“ მისადგომებთან დაზოვნებული ნაგავი. ვეუბნობთ, სახალრულის რაიმე ნიშანწყალი გაჰყვეს შინ კინოთეატრიდან ამ გზით დაბრუნებულ ადამიანს.

შედეგები

მაშ, ჯერჯერობით გავარკვიეთ, რომ მრავალგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგავი არ გაკვეთ. ამიტომ დედაქალაქში შექმნილია ანტისანიტარიის მუდმივი ზონები, უბნები, ქუჩები და ადგილები, რომლებიც წლიდან წლამდე აწუხებს მოსახლეობას სუნით, ეპიდემიის საშიშროებით, გარემოს გაუუსუფთაობით.

ახლა ყოველდღიური დასუფთავების პრაქტიკა: იმ მანქანებს, რომლებიც ქუჩაში გამოტანილ ნაგავს აქუჩებენ, გამოსვლა დადგენილი აქვთ დილის 7 საათზე, რაც ხშირად არ სრულდება და ამიტომ საქმის დამთავრება წესისამებრ დღის 10-11 საათამდეც ვერ ესწრება. ამით ხელი ეშლებათ იმ მანქანებს, რომლებიც საოჯახო ნარჩენების შესაგროვებლად მხოლოდ 8 საათზე გამოდიან, ხოლო ორიგე დანიშნულების მანქანები წარმოუდგენლად აფერხებენ საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობას სწორედ პიკის საათებში. რეიდის ათივე ბრიგადა იყო პარასკევს ამის მოწმე. უსუფთაობით განაწყენებულ მოსახლეობას ახლა სამგზავრო ტრანსპორტის იძულებითი გაუმართობის დარღი ემატება და არის ხალხის დიდი უკმაყოფილება.

დიღომში, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატთან, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ნაგვის გროვა შეენიშნეთ. იქვე ახლოს მეეზოვე ქუჩას გვიდა. მან ქუჩიდან ტროტუარზე ასვეტა ნაგავი და დამცავ ჯებირთან მიაგროვა. უეცრად ამოდენა გროვა თვალსა და ხელს შუა გაქრა. თურმე, ჯებირისთვის რიკულება გამოუგლეჯიათ და ნაგავს პირდაპირ მტკვარში ყრიან. ჩვენ შენიშვნაზე მეეზოვე ზნიადი მუსტოიანმა გულწრფელად გაიოცა, მანქანა არ მოდის, არ მიაქვს, სანამ ქარი ისევ მმოფანტავს, რა უშავს, მტკვარმა წაიოსოო. ჩვენს თვალწინ მტკვარს მისცა ნაგავი სამმა მოსახლემ, ესე იგი ესეც სამრეწველო-საწარმოო დაწესებულებებისაგან ისედაც დაჩაგრულ ჩვენს მტკვარს ემატება.

შემდეგ. საბურთალოს რაიონის ბრიგადა ნაგვის ერთი ავტომანქანის მძღოლს გაეცინო, თუმცა თვითონ ჩვენთან გაცნობა არ ისურვა — გვარი არ გვითხრა. საუბარში სიტყვას მოყოლილ ჩვენს შეკითხვაზე, რამდენი ხანია რაც დასუფთავების სისტემაში მუშაობს, გვიპასუხა: არც ისე დიდი ხანია და არც ისე დიდი ხანი, 10-12 თვე კიდევ დავრჩები, „ეიგულის“ ფულის დაგროვებას მოვრჩები და ჰაიდაო. ესე იგი მეორადი ნედლეულისათვის ხაგვის დახარისხებას, რისთვისაც სახელმწიფო ასე იბრძვის, ჩვენი ორი დღის უცნობი ნაცნობი კარგად ახერხებს თავის ჯიბისათვის.

გამვლელმა მოქალაქემ, რომელიც ჩვენი საუბრის უნებლიე მოწმე გახდა, მძღოლს ჰკითხა, შენ, ალბათ, კერძო შეკვეთებსაც იღებო, და როცა მძღოლმა სიცილით მიუგო, არც უშგისობა არისო, მოგვიბრუნდა: ოღონდ ეზო-ქუჩა დაგვისუფთაოს და, ალალი იყოს მაგაზეო, გვითხრა და თავისი გზა განაგრძო. დასუფთავების სამსახურის სიმძიმემ ზოგიერთ ჩვენგანს კინაღამ არ გააზიარებინა ეს მოსაზრება. მაგრამ, როცა რედაქციაში ვიმსჯელეთ, კატეგორიულად დავასკვენით, რომ ესეც პრობლემა, რომელსაც შრომის ცუდი ორგანიზაცია წარმოქმნის.

მიზეზები

თითოეული ამ შედეგთაგან ფრიად დამაფიქრებელია. ყველა შედეგს ერთ საგაზეთო სარეიდო მასალაში ვერ მოიცავ. მიზეზებზეც ვერ იტყვი ყველაფერს. ალბათ, არც არის ამის აუცილებლობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე დაწერილებთან, საფუძვლიანად გააანალიზეს ისინი. აქ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ძირითად მომენტს გვსურს საგანგებოდ შევეხოთ. ეს არის მექანიზმების ნაკლებობა, შრომის ცუდი ორგანიზაცია, მოქალაქეთა ერთი ნაწილის დაუდევრობა და შეუგნებლობა.

ქალაქის სანიტარული სამსახური ნაგვის მანქანებით მხოლოდ 60,1 პროცენტით არის დაკომპლექტებული, ქუჩის მექანიკური დასაგველი მანქანა 144-ის ნაცვლად მხოლოდ სამოცდაოთხია, ხშირად არ ჰყოფნით ინვენტარი, სახსრები. მაგრამ შრომის ცუდი ორგანიზაცია, უპერსპექტივობა იმასაც უსარგებლოს ხდის, რაც გვაქვს. ზემოთ დასახელებული პროცენტი საკვაშრო მაჩვენებლის ტოლია და, აბა, შეადარეთ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბალტიისპირეთის ქალაქების სანიტარიული სიტუაცია თბილისისას! რეიდის დილას მთელ ქალაქში არც ერთი ქუჩების მექანიკური დამგველი მანქანა არ შეგვხვედრია. თუ გამართულია, რატომ არ მუშაობს, თუ არა, რატომ დგას უქმად სამოცდაოთხი მანქანა ერთდროულად? ვის აძლევს ეს ხელს? ხომ არ უნდა მიეგდოთ ყური ავ ენებს, რომლებიც ხმას ავრცელებენ, თითქოს ამ მანქანების შლიან და სათადარიგო ნაწილებად იყენებენო?

იმაში, რომ ქალაქში უწესრიგოობაა, თავად მოსახლეობის ერთი ნაწილიც გამოდის ნებსით თუ უნებლიეთ ხელშემწყობის როლში. აწყურის ქუჩის № 33-ში მცხოვრებმა დ. ბ-მ ქუჩა გადაჭრა და საპირისპირო მხარეს ტროტუარზე ორი ვედრო ნაგავი დაყარა. ჩვენ კითხვაზე, თუ ასე რატომ მოიქცა, თქვა, ორი დღეა ნაგვის მანქანას ველოდებით, არა და არ გამოჩნდა, მე კი სამსახურში მაგვიანდება და რა მექნაო. იგივე პასუხი არა ერთი და ორი ქუჩის მცხოვრებთაგან მოვისმინეთ. უფრო მეტიც, სვანეთის უბანში, სადაც ძირითადად კერძო საცხოვრებელი სახლებია, საერთოდ თქვეს: ნაგვის სახლში ქონას ქუჩაში სჯობიაო. თავისი ქალაქის მოყვარული ადამიანი ასეთ განცხადებას არ იკადრებს. ეს ხომ იგივეა, თქვა: გრიპი მჭირს, სხვას უნდა გადავდოო. თბილისის პატრიოტი ასე იოლად ხელს არ ჩაიქნევს, მიდგებ-მოდგება, იბრძოლებს, ბოლოს-დაბოლოს, თვითონ გაიჭირვებს, სახსარს გამონახავს, ხარჯს გაიღებს და თავის ნაგავს სხვას არ მიუყრის.

ან იქნებ ვინმეს გაგონილი აქვს და ჰქონია, ბრიუსელისა და ვენის ზოგიერთ ქუჩას სანითი რომ რეცხავენ, ამას ქალაქის მუნიციპალიტეტები ან მერიები უსასყიდლოდ აკეთებენ, მაშინ ისიც გიგიონ, ეს რა დიდძალი ფული უჯდებათ იმ ქუჩების ბინადართ.

არა, არავინ ათავისუფლებს ქალაქის მესვეურთ თბილისელების მომსახურებისაგან. ჩვენ პრობლემის გადაჭრისადმი მოსახლეობის მიდგომა გვინდა გავთავისუფლოთ ვიწრო, შეზღუდული ლოგიკისაგან: გეკადნაო? თავში ქვა იხალეთ და გააკეთეთ! გიჭირთ? ჩვენს თანადგომას ნუ ელოდებითო!

ქალაქი ერთიანი მთლიანი ორგანიზმია, რთული სხეულით და უშველებელი მეურნეობით, მაგრამ ქალაქს ათი რაიონი შეადგენს და თითოეულმა თავისი საქმე კარგად, ნამუსიანად რომ აკეთოს, ეს კი უფრო რეალური და ცხოვრებისეულია, პრობლემის ერთად უთოუოდ თავს მოჰკვეთდნენ.

ჰოდა!..

მიზეზთა მიზეზი — ყველაზე მთავარი

მიზეზთა მიზეზი მაინც თქვენ ბრძანდებით, პატივცემულო ამხანაგებო, ჩვენი ღია წერილის ადრესატებო! მეტი პასუხისმგებლობა, მოვალეობის მთელი გულით შესრულება, მისი მეტი ერთგულება ყველას გვმართებს, ამ საქმეში კი თქვენ,—განსაკუთრებით!

ხომ ბუნდოვანდ, ორაზროვნად არ უთქვამთ თქვენთვის: დატოვეთ კაბინეტები და ქუჩაში, ეზოში, სკვერში გამობრძანდით. თანაც ღილით ადრე, როცა ქალაქი სუნთქვას იწყებს, ალაინია. ყოველდღე თუ არა, — დღეგამოშვებით. როგორც იტყვიან, მადლობა ზენაარსსა—რკინის ულაყი თქვენს გამგებლობაშია და თბილისელების პატივისცემა — თქვენი თანამგზავრი.

ათი მანქანით სამი საათი ვიარეთ რეიდის დღეს მუშაობის დაწყებამდე თქვენს რაიონებში, და თუ ვერც ერთ მექანიკური დასუფთავების მანქანას ვერ შევხვდით, რაც უკვე მოგახსენეთ, ვერ შევხვდით ვერც ერთს — აღმასკომისასაც. იქნებ შემთხვევით მოხდა — გავიყარენით, მაგრამ ჩვენ იქ აღმოვჩნდით, სადაც თქვენ უნდა ბრძანებულიყავით და აღარ დაგზვდებოდათ ტროტუარზე — თანაც სად? შუა ქალაქში, სანაპიროზე, სასწრაფო დახმარების სადგურის წინ, დაგლეჯილი, რკინაღერძმგრეხილი სატვირთო მანქანის საბურავი, (ფოტო 9), ხოლო სასტუმრო „ევროპის“ გვერდით ქუჩაში გადაგდებული მტვრიანგადაყვითლებული მაცივარი (ფოტო 8). მეტი რომ არა ვთქვათ, გაუგებარია, როგორ შეიძლება ხდებოდეს ისე, რომ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომბინატების, ქალაქის საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელები უფრო ხშირად მიდიან თბილისელებთან, ვიდრე თქვენ.

ვიგრძენით თქვენი უკმაყოფილება, იქნებ აღშფოთებაც, რატომ ასეთი ნატაციური ტონით, რა ზედგიმი უფლებით მოგვმართავთ ასეო.

გვერწმუნეთ, არავითარი ქვენა აზრი და უსიკეთო სურვილი! ოღონდ რა უფლებით, ამაზე ახლავე მოგახსენებთ.

სწორედ სამი კვირის წინათ საყოველთაო მსჯელობის საგნად იქცა ის, რომ სასტუმრო „ევროპასთან“, რესპუბლიკის მთავარი ქოედნის ბოლოს ყველას, მათ შორის ჩვენი უცხოელი სტუმრების სანახაობა გახდა ნაგვის ბორცები. ეს საკითხი შემდეგ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აღინიშნა თათბირზე, თბილისის კომიტეტის ბიუროს სპეციალურად განიხილა. შედეგი? ქუჩის აქეთა მხარე მართლაც მოასუფთავეს, მაგრამ იქითა, მოედნიდან გადასახედზე? იქ რაც იყო 19 სექტემბერს, თქვენ თვითონ იხილეთ ძე-12 ფოტოზე.

თუ უცხოელებზეა ლაპარაკი, მათი მხედველობისა და ყნოსვის არეში ჯებირის იქითა ეს სიბინძურე და სიმყრალე უფრო იოლთან ხვდება, ვიდრე ის, რაც ამ სამი კვირის წინათ იყო.

განა შესაძლებელია იმის წარმოდგენა, რომ პარმაღი დახვეტო და კიბეს არ დახედო, რა ღღეში გაქვს? ან იატაკი მოხეხო და ბინის წინა მოედანი ჭუჭყიანი გქონდეს — ის ჭუჭყი ხომ სახლში შემოგვიგა! „ეს პანორამა (ფოტოები 10, 11) „ევროპის“ წინ, სამაის ბაღში იშლება.

ეს არის მოვალეობის ასრულება? ძნელია მეტი უპასუხისმგებლობის, გულარხეინობის ნიშუშის შერჩევა.

ძნელზე ძნელად ასახსნელია უწესრიგობა იმ შენობაში ან მის გვერდით, რომელშიც პარტიის რაიკომია მოთავსებული, ან იმ ქუჩაზე, სადაც ერთი სახლის გამოკლებით, მილიციის რაიონული განყოფილებაა. არადა, ასეა... დახედეთ №-7 ფოტოს. ძნელაძის ქუჩა 28, აქვე კი კალინინის რაიონში წესრიგის მეთვალყურეებს დაუდევთ ბინა. პარტიის ოქტომბრის რაიკომის შესასვლელთან დაყრილ ნაგავზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შენობაში, ბუფეტის გვერდითაც კი ნაგავი დაგვხვდა. ეტყობა, დამლაგებელს აქ კარგა ხანია არ შეუხედავს, მაგრამ ის ხომ იხედება აქ, ვინც ყოველდღე სასადილოდ დადის.

მხოლოდ ამ უფლებით, პატივცემულო ამხანაგებო! მხოლოდ იმისათვის, რომ ოდესმე წესრიგმა და სისუფთავემ დაისადგუროს იმ რაიონებში, რომლებსაც თქვენ ხელმძღვანელობთ.

„ჩვენ უნდა... ძირფესვიანად შევცვალოთ ყველაფერი სოციალურ სფეროში, საერთოდ, იმ გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს ყოველ დღე და რაც განსაზღვრავს მის განწყობილებასა და დამოკიდებულებ ა ს ყველაფრისადმი“.

მ. ს. გორბაჩოვი

(გამოსვლიდან კრასნოდარის მხარის მშრომელებთან შეხვედრისას).

ბოლოთქმა

დედაქალაქი ხომ ერთგვარი სავიზიტო ბარათია ქვეყნისათვის. თბილისი კიდევ განსაკუთრებულად საყვარელი ადგილია ყველა ქართველისთვის. და არა მარტო მათთვის... ყველაფერი იმ ფოკუსში არ იყრის თავს, რომ უბრალოდ ჭუჭყი გვაწუხებს და უარყოფით ემოციებს აღგვიძრავს?! არაჰიგიენურობა ჯანმრთელობის პირველი მტერია (ნიშანდობლივია, რომ რესპუბლიკაში ამ ბოლო ხანს რამდენიმე მასობრივი მოწამვლის შემთხვევა აღინიშნა, ისიც ბევრზე მეტყველებს, რომ კოდის მეფრინველეობის ფაბრიკაში სამ თვეში ძალზე უხეირო კვების მიზეზით მილიონამდე წიწილა გაწყდა). წესრიგი და სისუფთავე არც მარტო ჩამოსული სტუმრებისთვის გვინდა. წესრიგის მოთხოვნილება უფრო რთულ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება. განუსჯელობის, განუკითხაობის არმოთმენა, სულიერ და ფიზიკურ სიბინძურესთან შეუთავსებლობა, წესრიგის შინაგანი მოთხოვნილება ადამიანური, ეროვნული და ოჯალაქეობრივი კულტურის უსარველესი ნიშნებია. და ამის შემდეგ დგება პრესტიჟულობის განზომილება. ვერც ერთს ამათგან, ვერაფერს ამათგან, ვერასოდეს შეველევით — მომავალი არ გვაპატიებს, ჩვენი ზნეობა ნებას არ მოგვცემს.

საჩუქრად ქართველ მეცნიერებს

— საქართველოს ენციკლოპედიის ურთიერთობის საუკუნოვანი ისტორია აქვს და ახლანდელი ექსპოზიცია კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ იგი მტკიცდება და ვითარდება, — თქვა თბილისში უნგრეთის აკადემიური წიგნის გამოფენის გახსნაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ.

ექსპოზიციაში, რომელიც გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში, წარმოდგენილია სხვადასხვა ენაზე გამოცემული 400 წიგნი. მათ შორის არის მეცნიერული შრომები მათემატიკის, ასტრონომიის, ისტორიის, ეკონომიკის, მედიცინის, ენათმეცნიერების დარგში, სხვადასხვა ლექსიკონი.

— ჩვენ მას საჩუქრად ვუტოვებთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, — თქვა ცხობილმა უნგრელმა მეცნიერმა, პროფესორმა ჯორჯ ჰახ

მ. — ამ წიგნებში ასახულია თანამედროვე მეცნიერების ბოლო მიღწევები და აღმოჩენები, თეორიები და ჰიპოთეზები, აქტუალური პრობლემები. ქართველ მეცნიერებთან ნაყოფიერი მეცნიერული ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ ვამუშავებთ საერთო თემებს, ვხვდებით ერთმანეთს სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე, ვუშვებთ ნაშრომების ერთობლივ კრებულებს. უნგრელი ქართველოლოგების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილების ლაიოშ ტარდისა და მარტონ ბშტვანოვიჩის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში კარგად იცნობენ ქართულ ლიტერატურას. უნგრულ ენაზე გამოდის ქართველ კლასიკოსთა ნაზრდრმოგბები, აგრეთვე თანამედროვე მწერალთა წიგნები.

(საქინფორმი).

ზიგნის თარო

აი, ვინ იყო მამულიშვილი!..

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა ხალხმა დიდი მადლიერებით აღნიშნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და ეურნალისტის მემედ აბაშიძის დაბადების 110 წლისთავი. აჭარის განთავისუფლებისა და დედაქალაქთან ერთან შემოერთებისათვის თავდადებულ შებრძოლის მემედ აბაშიძის სახელსა და სამშობლოს ერთგული ქალიშვილი ჰქვია ... ...